# საარბიელო

სპორტული გაზეთი | პარასკევი 14 ნოემბერი 2003 №217 (1988) | ფასი 50 თეთრი


# საქართველოში ქვათა რთველია



„ტორპედოს" მეკარე ზვიად სტურუას ლოკომოტიველებმა სამჯერ დასწყვიტეს გული

## ასეა, ჩემო ამიგო



## ლუის ცაკარიასმა ჟოაო კამპუშს დიდი ანგარიში და დიდი საფიქრალი გაატანა

მე-17 ტურის გუშინდელი ორი მატჩის მიმოხილვა მეორე გვერდზე



## კლოდ სორელი ქართული რაგბის ბასტილიაა

## მაგრაქველიძის მაგარ-მაგრები



— უფროსობამ ფეხებზე დაიკიდა მსოფლიოს თასისთვის მოსამზადებელი ეტაპი, აქაოდა, თასზე გავედით და ჩვენ ჩვენი მისია შევასრულეთო...

— ქასაშვილი და სორელი ყველაფერს წყალში ჩაყრიან. ერთმანეთის კუდები არიან, როგორც უნდათ, ისე ჭრიან და კერავენ...

— სამი-ოთხი წლის წინ სორელმა და ქასაშვილმა საფრანგეთში სამოცდაათამდე ქართველი მორაგბე ჩამოიყვანეს, მაგრამ მერე მათ ბედზე არავის უზრუნია. სორელი ყურადღებას მხოლოდ თავის რჩეულებს აქცევდა და დანარჩენები ბედის ანაბარა იყვნენ...

— როცა ქართველი ერთი კლუბიდან მეორეში გადადის, მის ინტერესებს სორელი და ქასაშვილი იცავენ. საკომპენსაციო თანხა რაგბის კავშირსაც ეკუთვნის... სორელი ამბობს, მე კაპიკსაც არ ვიღებო, კავშირს კი არასდროს არა აქვს ფული. აბა, სად მიდის ეს ფული?

— ქართველები სამი წელი დაზღვევის გარეშე ვთამაშობდით. ერთი სერიოზული ტრავმა და შენით უნდა იმკურნალო...

ინტერვიუ მამუკა მაგრაქველიძესთან იხილეთ მეცამეტე გვერდზე



## თამაშის წინ ქართველი მსაჯი ოჯახს ისე ეთხოვება, თითქოს ომში მიდიოდეს



## ანდერძის წერას გადარჩენილი კახა მესხის პატაკიდან და ინტერვიუდან

...გოჩაშვილმა მუშტი დამარტყა, ჯაიდარაშვილი განზრახ დამეჯახა და წამაქცია, ძოძუაშვილმა წიხლი ჩამცხო, ლაბაძემ სახეში გამარტყა...

...მთელი „დილა" მოსაკლავად მომდევდა...

...„სიონის" სასარგებლოდ პენალტი რომ არ დამენიშნა, ბოლნისელებიც ჩამქოლავდნენ

საქართველოს უმაღლესი ლიგა **15** ჩემპიონატი პირველი ეტაპი

# 17 ტური

# საჰაერო დარტყმები და გაუწითლებელი ლათინოისტორია

**დავით თავართქილაძე**

ჟოაო კამპუში ექსპერიმენტების ხასიათზე იყო. ტაქტიკური სქემა რამდენჯერმე შეცვალა, ფეხბურთელებს პოზიციები უცვალა და... ლათინოკაცია ჟოაო, ხანდახან ბრაზილიელი კომენტატორივით მოიღერებს ხოლმე ყელს და ყვირის. გუშინ ის სულ „ბაიანო", „ბაიანოს" გაიძახოდა. ტორპედოელ დავით გამეზარდაშვილს ახლობლები „ბაიანას" ეძახიან, ჟოაომ კი „ბაიანო" დაიჟინა — ბაიანო სამხრეთ ამერიკაში საკმაოდ გავრცელებული სახელიცაა და გვარიც.

მეორე ლათინოკაცმა, ლუის ცაკარიასმა კი ამოჩემება არ იცის. ის ცოტას და სხვადასხვა სახელებს ყვიროდა, ანდა რა ჰქონდა საყვირალი — მისი გუნდი ღონივრად იდგა ვაკეში, სუსხში და საქართველოს სამგზის ჩემპიონს კლიტეებს უმტვრევდა.

რკინიგზელთა ბალაკი დავით სირაძე მე-15 წუთზე ნაკუთხურალ ბურთს მაღლა აუხტა და შორეულ კუთხეში ჩაუსვა ის ზვიად სტურუას. თავით კარგად მოთამაშე ფეხბურთელის ფასი საქართველოს ჩემპიონატში დიდია, ასეთები ძალიან ცოტანი არიან და თუ „ბალაკი" ყვირის, ამაში პათეტიკა არაა.

ყველგან უმცირესობაში არიან საინტერესო ფორვარდები და „ტორპედოში" ახლა ასეთი არავინაა. რომან ახალკაცის თავდამსხმელობაც იძულებითია ქუთაისელებისთვის. „ტორპედოს" ყველაზე უფრო გუშინ თავდასხმაში უჭირდა.

მაშ, აფრიკამ რაღა? განელი ნანა, როგორც წინა სეზონში, ახლაც ვერა და ვერ გაიხსნა. ნანას სამჯერ ჰქონდა საგოლე შანსი. ყველა გაფლანგა და როცა შეცვალეს, წელსზემოთ გაშიშვლდა, მოედნიდან გასასვლელ კარს გამეტებით დაეჯაჯგურა. მოკლედ, წარმატებულ ბიზნესმენ აკაკი ჩხაიძის გუნდს ერთი კარგი გოლდამშენი ნაღდად გაალამაზებდა.

„ტორპედო" ბრძოლაში და ჰაერში დამარცხდა — მეორე გოლიც „ლოკომოტივმა" კუთხურიდან გაიტანა — ზაზა ზამთარაძის ჩაწოდებულზე ირაკლი ვაშაკიძემ იყოჩაღა — თავით მინდორზე დაგდებული ბურთი ხტუნვა-ხტუნვით შევარდა სტუმართა კარში.

ამის შემდეგ ქუთაისელები აირდაირივნენ, მოედნის ცენტრში თითქმის ყველა ორთაბრძოლას რკინიგზელები იგებდნენ და სტურუაც სულ აქეთ-იქით დაფრინავდა მის კარში და კარისკენ დარტყმული ბურთებისთვის. ერთხელაც თენგიზ სიჭინავას მოსხეპილი მოიგერია და თენგიზ უგრეხელიძემ დამატებაზე გაიტანა.

„ტორპედოს" თამაშს შოთა ბაბუნაშვილი წარმართავდა, თუმც გუშინ ეს პლეიმეიკერი ვერ ბრწყინავდა. ვერც გამოცდილმა კახა კვეტენაძემ იმარჯვა. საგოლე მომენტები ზურაბ მუშკუდიანს „ლოკომოტივის" მცველთა ორი უხეში შეცდომის წყალობით შეექმნა — გატანა შეიძლებოდა, მაგრამ იმ შესაძლებლობებს ასპროცენტიანი არ ეთქმოდა. ერთხელ ბაბუნაშვილმა ჩააწოდა კუთხური სახიფათოდ, მაგრამ არეულობაში ტორპედოელებმა ერთმანეთს შეუშალეს ხელი და ბურთი „ლოკომოტივის" კარში ვერ შეაძვრინეს.

საერთო ჯამში, ხალისიანი, ნიათიანი ბურთაობა ვიხილეთ. „ლოკომოტივმა" რაციონალურად გამოიყენა ძალა, ხოლო „ტორპედო" შეკრებაზე საკონტროლო მატჩის მოთამაშე გუნდს უფრო ჰგავდა — ჟოაო ძიებაშია.

აუგუსტო პინოჩეტმა მთელი სამხრეთ ამერიკა იხსნა „გაწითლებისგან", მათ შორის პერუ და ბრაზილია. პრესკონფერენციაზე პირველი ცაკარიასი მობრძანდა და სანამ ჟოაო მოვიდოდა, თქვა, როცა პერუს ახალგაზრდულ ნაკრებს ვწვრთნიდი, ბრაზილიას ორჯერ მოვუგე 1:0 და 3:1, მაგრამ პერუმ მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადას ბოიკოტი გამოუცხადა და ამიტომაც დავრჩით უოლიმპიადოდო... პოლიტიკური თემა ცაკარიასმა ამით ამოწურა.

*ლუის ცაკარიასი:* ჩემმა გუნდმა დისციპლინირებულად ითამაშა ორივე ტაიმი. განსაკუთრებით დაცვის ხაზს გამოვყოფ. ძალიან კარგად ითამაშა მიხეილ სოსელიამ და საერთოდ, მთელმა გუნდმა. რაც შეეხება ნანას, მან სამუშაო კარგად შეასრულა, თუმც მისგან მეტს ველოდით. რაც მთავარია, „ლოკომოტივი" თამაშს აუმჯობესებს.

*ჟოაო კამპუში:* ჩემი გუნდის თამაშით უკმაყოფილო ვარ. ძალიან უარყოფითად იმოქმედა ჩვენზე ზვადაგიანის არყოფნამ, რომელიც საამმატჩოდ დისკვალიფიცირებული იყო. „ტორპედოს" გასვლაზე უჭირს თამაში, მაგრამ დარჩენილი ხუთი მატჩიდან სამი შინ გვაქვს და იმედი მაქვს, მათ მოვიგებთ. ექვსეული — სხვა გამოსავალი არ გვაქვს. ისე კი, ფეხბურთელები არ გვყოფნის, განსაკუთრებით თავდასხმაა გასაძლიერებელი.

თბილისი. 13 ნოემბერი. 15 საათი. ლოკომოტივი. 1 000 (ტევადობა 25 600)

## ლოკომოტივი 3:0 ტორპედო

1:0 სირაძე (15), 2:0 ვაშაკიძე (50), 3:0 უგრეხელიძე (64)

**ლოკომოტივი:** ხაჩირაშვილი, ორბელაძე, ვაშაკიძე, ლ. სალუქვაძე, უგრეხელიძე (მ. ბურნაძე 82), ზამთარაძე, ქემოკლიძე (რ. ონიანი 78), სიჭინავა, ნანა (გოგინაშვილი 80), სირაძე, სოსელია
*სათადარიგონი:* ბოდოკია, ქოქიაშვილი, მიქაძე, კობახიძე
**მწვრთნელი:** ლუის ცაკარიასი

**ტორპედო:** სტურუა, გამეზარდაშვილი, ნირგაძე, მახვილაძე, გოგოლაძე (მუშკუდიანი 27), ლ. ქელიძე, ს. თოდუა, კვეტენაძე (ნადირაძე 54), ბაბუნაშვილი, გ. ჩხეტიანი (ზ. ქუთათელაძე 64), ახალკაცი
*სათადარიგონი:* გ. სომხიშვილი, ლაღაძე, ბოროშინი, ზვიადაძე
**მწვრთნელი:** ჟოაო კამპუში

**გაფრთხილება:** ჩხეტიანი (41), ქემოკლიძე (44)

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზ. ჯვარიძე, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე; **დირექტორი:** გ. ძამუკაშვილი

დარტყმა 10-11; კუთხური 6-3; კარისკენ დარტყმა 6-3; კარში დარტყმა 7-3; თამაშგარე 3-0



„ლოკომოტივის" კარი ტორპედოელებს „შეუღებელი" დარჩათ

# საქართველოში ქვათა რთველია

ოზურგეთი. 13 ნოემბერი. 15 საათი. ცენტრალური. 1 000 (ტევადობა 3 000)

## მერცხალი 0:2 დინამო

0:1 კვირკველია (5), 0:2 ამისულაშვილი (56)

**მერცხალი:** გია გოგუა, გ. წიქწიგაძე (მანჯავიძე 73), მჟავანაძე, გ. ილურიძე, ჭალიაშვილი, ბართია (სიამაშვილი 67), ჭინჭარაული, მებონია, კობაური, კალანდაძე, გაბედავა (განევი 85)
*სათადარიგონი:* რობაძე; ჯაბუა, ასკურავა, ხუჭუა
**მწვრთნელი:** აკაკი ათუაშვილი

**დინამო:** გვარამაძე, ახალაია, წერეთელი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია, გოგობერიშვილი, კანდელაკი, ბურდული, იაშვილი, მელქაძე (სახვაძე 65)
*სათადარიგონი:* ზოიძე; ხიზანეიშვილი, კაშია, მ. ბობოხიძე
**მწვრთნელი:** იგო შუშაკი

**გაფრთხილება:** მელქაძე (33), ახალაია (53), კანდელაკი (63), ჭინჭარაული (66)

**მსაჯები:** ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ე. სილაგავა; **დირექტორი:** ე. თევზაძე

დარტყმა 17-15; კუთხური 1-7; კარისკენ დარტყმა 2-4; კარში დარტყმა 1-5; თამაშგარე 2-5

**გოჩა ჯანაშია ოზურგეთიდან**

მოსალოდნელი იყო და, „დინამომ" წინადლით დაკარგული ლიდერობა ბოლოადგილოსანთან ბრძოლაში იოლად დაიბრუნა. გაუსაძლის პირობებში თამაში დიდი ვერაფერი სანახაობა გამოდგა. იყო ტალახი და წყლის გუბეები...

ოზურგეთელებს კარგად ახსოვდათ პირველ წრეში ჩემპიონთან ნაწვნევი უსასტიკესი მარცხი, მაგრამ სარევანშოდ საჭირო თავს ზემოთ ძალა არ გააჩნდათ. ბრძოლით კი შეებრძოლენ მეტოქეს, თუმც მათი სახეირო სად იყო...

სტუმრები საკმაოდ მალე დაწინაურდნენ. მჟავანაძის მიერ საჯარიმოს მისადგომებიდან მოგერიებული ბურთი კვირკველიამ მოიხელთა, ერთი მოძრაობით ბურთი გაისწორა, მეორით კი ცაციით ისეთი დაარტყა, ზედ ცხრიანში, ძელთა შესაყართან ჩაჭედა კარში.

თამაშის არსი ძირითადად მშრალი ალაგების ათვისებაში გამოიხატა. სიმშრალე კი უფრო ფლანგებზე იგრძნობოდა, თორემ მოედნის ცენტრი ტალახს მიჰქონდა. „დინამო ფლანგებზე უფრო ცოცხლად გამოიყურებოდა და მარცხნივ კვირკველია, მარჯვნივ კი ახალაია ბევრ თავსატეხს უჩენდნენ მასპინძლებს.

ოზურგეთელთაგან ყველაზე მონდომებულნი მებონია და გაბედავა ჩანდნენ. პირველი მოედნის ცენტრში იბრძოდა თავგამოდებით, მეორე კი მარტო ცდილობდა მეტოქის უკანა ხაზის შეწუხებას. თუმც ამ დუეტის ჯაფა დიდი ვერაფერი ხეირის მომტანი ჩანდა.

„მერცხალმა" პირველ ტაიმში ერთადერთი მომენტისმაგვარი შექმნა. ბართიამ ხელსაყრელ პოზიციაში ბურთი ხეირიანად ვერ მოირგო და „დინამოს" მცველებმა სიტუაცია განმუხტეს. ჩემპიონის კარის სიახლოვეს საინტერესო სხვა არაფერი მომხდარა.

ისე, არც მასპინძელთა კართან „ცხელოდა" დიდად. ერთადერთხელ იყო, ბურდულის ფლანგურ გარღვევას საპენალტოს სიახლოვეს მელქაძე რომ დაუხვდა ხელსაყრელად, თუმც უზუსტოდ დარტყმულმა ბურთმა ხარიხას გადაუქროლა.

შესვენების შემდეგ ზედიზედ ორჯერ მწვავედ ჩაიდრიბლინგა კვირკველიამ. ორჯერვე საჯარიმოში უნაკლო პასი გააკეთა, თუმც იქ სათანადოდ გამომპასუხებელი არავინ იყო.

და მაინც, „დინამომ" მალე გაიტანა მეორე გოლი. კუთხურიდან გათამაშებული ბურთი საჯარიმოს კიდეში გოგობერიშვილს მიუვიდა, რომელმაც ის მარჯვედ შეინარჩუნა და სამეკარეოსთან თავზე დაასვა ამისულაშვილს. ალეკომაც შანსი არ დაუტოვა გოგუას.

ამ გოლმა ყველაფერი გაარკვია და „მერცხალის" უკბილო იერიშები ინერციითღა გრძელდებოდა. შუშაკის ბიჭებს კი მინიმუმ ორჯერ მართებდათ ანგარიშის გაზრდა. ორივე ეპიზოდში მასპინძლები ძელ-ხარიხამ იხსნა. პირველად გოგობერიშვილმა გაარტყა ძელს, მეორედ, სულ ბოლო წუთზე, ბურდულმა — გოგუას ხელიდან ბურთი ხარიხამ აისხლიტა.

სხვამხრივ დარჩენილი დრო იმით გამოირჩა, რომ თანამსაჯმა გურამ ჩიგოგიძემ მთავარ მსაჯს ნივთმტკიცების სახით „ჯუნგლებიდან" ნასროლი ორი ქვა მიურბენინა. ამ ფაქტმა ნამატჩევს „მერცხალის" გუნდის უფროსი ბახვა გიორგაძე გააცეცხლა — აქაოდა, პროვოკატორების ნამოქმედარია, თორემ მსაჯებთან რა უნდათ, ვერ ხედავენ, „მერცხალს" ერთხელაც არ დაურტყამს კარშიო.

ბოლოს ერთიც უნდა ვთქვათ: მასპინძლებში შეცვლაზე შევიდა ანდრო განევი, „გურიაში" მოთამაშე ალეკო განევის უმცროსი ძმა. ამ ბიჭს გუშინდელი დღე არ დაავიწყდება, რადგან პირველად გამოჩნდა სათადარიგოთა სკამზე და უმალ დებიუტს მოესწრო, თანაც ვისთან — „დინამოსთან".

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 17 | 11 | 4 | 2 | 35:6 | 37 |
| სიონი | 17 | 10 | 6 | 1 | 26:11 | 36 |
| ვიტ ჯორჯია | 16 | 8 | 5 | 3 | 25:10 | 29 |
| დილა | 17 | 8 | 3 | 6 | 22:17 | 27 |
| თბილისი | 17 | 7 | 4 | 6 | 29:20 | 25 |
| ლოკომოტივი | 17 | 7 | 4 | 6 | 25:19 | 25 |
| ბათუმი | 16 | 7 | 1 | 8 | 21:19 | 22 |
| ტორპედო | 17 | 6 | 4 | 7 | 15:18 | 22 |
| მცხეთა | 17 | 6 | 2 | 9 | 20:38 | 20 |
| კოლხეთი | 17 | 4 | 3 | 10 | 10:22 | 15 |
| სპარტაკი | 17 | 3 | 4 | 10 | 10:38 | 13 |
| მერცხალი | 17 | 2 | 4 | 11 | 16:34 | 10 |

## რუსეთი

**თასის 1/8 ფინალი საპასუხო მატჩები**

*როსტოვი* **4:0 სატურნი (2:2)**

*როტორი* **4:0 დინამო (1:2)**

# მომკლავდნენ, ნაღდად მომკლავდნენ



*თავი ზღაპარში ეგონა „სიონ" — „დილას" გუშინწინდელი მატჩის არბიტრ კახა მესხს: აქეთ წახვალ, ბოლნისური გუნდისა და ქომაგის რისხვა, იქით — „დილა". მსაჯმა ორ საშინელებას შორის ნაკლები ირჩია, უფრო სწორად — მისივე თქმით — გასაკეთებელი გააკეთა, პენალტი დანიშნა, რისთვისაც მოხვდა კიდეც. მოხვდა მუშტი, წიხლი... არ გააკეთებდა და — ესეც მისი სიტყვებია — მასპინძლებს, ფეხბურთელებსაც და ხალხსაც ვერ გადაურჩებოდა.*

*იმ დღეს, ოთხშაბათს, კახა მესხის თავზე ნისქვილის ქვა დატრიალდა, გორელები გამოუდგნენ და ისეთი ვაი-უშველებელი შეიქნა, ძალლი პატრონს ვერ ცნობდა. მესხი შესაშურმა ფიზმომზადებამ გადაარჩინა. „დილას" ფეხბურთელები სისწრაფეში დაჯაბნა და პოლიციელებს მიეკედლა.*

*კახა მესხი მსგავს „გაუგებრობაში" ხშირად მოხვედრილა, მაგრამ ოთხშაბათის ამბებმა თავის აგრესიით ყველა სხვა დაჩრდილა, მსაჯი სასაკლაოზე აღმოჩნდა, საიდანაც ბედად გაასწრო*

ათასი თვალი და ყური უცქერდა და ისმენდა იმ შეურაცხყოფას, რაც გუშინწინ „თემურ სტეფანიაზე" ზუგდიდელმა მსაჯმა კახა მესხმა მიიღო. ახლა გადაწყვეტილება სადისციპლინო კომიტეტმა უნდა მიიღოს. არსებობს ამ მატჩის ფირი, არის მატჩის არბიტრისა თუ ინსპექტორის მოხსენებითი ბარათი, არის სადისციპლინო კოდექსიც...

ბოლნისური საქმის გარჩევა მომავალ კვირაში იგეგმება. დღეს კი მხოლოდ ვარაუდები ისმის, ისმის, როგორც ყოველთვის, მსაჯის გამმეტებელ ფეხბურთელებს დისციპლინარები არ გაიმეტებენ და სასჯელიც ისეთივე იქნება, როგორიც აქამდე მიუღიათ უსაქციელო ფეხბურთელებს, ანუ მსუბუქზე მსუბუქი!

ჩვენც დაველოდოთ სტკ-ს, იქამდე კი „სიონ" — „დილას" მსაჯ კახა მესხთან ინტერვიუს გთავაზობთ. სხვათა შორის, არც თავად მესხს სჯერა, რომ სტკ-ის სასჯელი მართლაც სასჯელი იქნება და არა ვითომსასჯელი.

— მომკლავდნენ, ნაღდად მომკლავდნენ — გვითხრა კახა მესხმა — პოლიცია და „სიონის" ფეხბურთელები რომ არ დამხმარებოდნენ, მოედნიდან ცოცხალი ვერ გავაღწევდი. ჩემი გადაწყვეტილებების სისწორეში დარწმუნებული ვარ. პენალტი დასანიშნი იყო და დავნიშნე. ვერ გამიგია, გორელები რამ აღაშფოთა. იმ ადგილიდან, სადაც ბოლნისელი ისიანი გოჩაშვილმა წააქცია, ხუთ-ექვს მეტრში ვიყავი და ყველაფერს ნათლად ვხედავდი. გორელმა მასპინძელს ჯერ მუხლი ჩაუდგა, მერე კი მაისურაზე დაქაჩა, ისიანმა წონასწორობა დაკარგა და წაიქცა. პენალტი უყოყმანოდ დავნიშნე.

**— ამბობენ, მესხს პენალტი რომ არ დაენიშნა, მასპინძლების რისხვას ვერ გადაურჩებოდაო...**

— „სიონის" სასარგებლოდ ნაღდი პენალტი რომ არ დამენიშნა, მოსალოდნელი იყო, რომ ბოლნისელებს ჩავექოლე.

**— ორცეცხლშუა აღმოჩნდით...**

— კი, და ბედად გადავრჩი. ბოლნისელების მადლობელი ვარ.

**— დანიშნეთ პენალტი. მერე რა მოხდა?**

— გოჩაშვილმა ჩემკენ გამოიწია და შეფარვით გულ-მკერდში მუშტი ჩამცხო. მაშინვე წითელი ბარათი ავუფრიალე, ამის დამნახავი გორელი ფეხბურთელები კი გამომიდგნენ. უკან დავიხიე და მოვკურცხლე. ამ დროს თურმე კაიდარაშვილი დამეჯახა და წავიქეცი, თუმც წამშივე წამოვდექი და გავიქეცი. ძოძუაშვილი იმ დროისთვის უკვე შეცვლილი იყო, სათადარიგოთა სკამიდან მოედანზე როგორ აღმოჩნდა, არ ვიცი. მერე, ფირზე ვნახე, რომ წიხლი ჩამარტყა. იმ მომენტში ჩემი გზის მეტს ვერაფერს ვხედავდი, არც თანაშემწეებს დაუნახავთ, კაიდარაშვილი როგორ დამეჯახა ან კიდევ ძოძუაშვილმა მომარტყა წიხლი თუ სხვამ.

**— მატჩის შეწყვეტის უფლება ხომ გქონდათ...**

— მქონდა, მაგრამ ხომ იცით, შიშს დიდი თვალები აქვს. შემეშინდა, რომ მატჩის შეწყვეტის შემთხვევაში მოედნიდან ცოცხალი ვერ გავაღწევდი.

**— ბოლნისელებიც აღშფოთდებოდნენ?**

— ალბათ.

**— იქნებ ყველაფერი იმ ლოიალობის გამო მოხდა, რასაც თქვენგან, მსაჯებისგან ფეხბურთელები გრძნობენ. გასაძევებელს ხშირად არ აძევებთ, გასაფრთხილებელს არ აფრთხილებთ...**

— მესმის, მაგრამ ჩვენიც უნდა გაიგოთ. ჩვენც გვყავს ოჯახები, მეგობრები, სიცოცხლე არ მოგვბეზრებია. დარწმუნებულნი არ ვართ, რომ ჩვენი სიმკაცრით ჩვენივე დასაკლავ დანას არ ავლესავთ. გვეშინია, დაუცველნი ვართ.

**— გამოსავალი რა არის? სადისციპლინო კომიტეტს მივადექით...**

*კახა მესხმა თითები ნერვულად აათამაშა, შეიშმუშნა, სიგარეტს მოუკიდა, თუმც ენაზე მომდგარი სიტყვა ისევ უკან ჩაიბრუნა... ვერაფერს გეტყვითო, მოკლედ მოჭრა.*

**— თქვენი დამცველი ვინ უნდა იყოს?**

— ეგ ზემოთ იკითხეთ, ჩვენს უფროსობასთან. ისე კი, უდისციპლინობა გუნდიდან იწყება. ვიდრე გუნდებში დისციპლინა არ ამაღლდება, მსაჯების ფასი საქართველოში კაპიკი იქნება.

**— მატჩის მერე რა მოხდა?**

— ჩავსტვინე თუ არა, თანაშემწეებისკენ გავემართე მადლობის სათქმელად. განერვიულებულ გორელ ფეხბურთელებს ავერიდე, ისინი კი ჯგუფად მიახლოვდებოდნენ. მე უკანუკან ვიწევდი. გორელებმა ერთი იხუვლეს და ჩემკენ გამოქანდნენ, მე — პოლიციელებისკენ. სირბილში მოვუგე გორელებს. ცოტა ხანში ფეხბურთელებიც დაწყნარდნენ.

**— სტადიონიდან როგორ გამოხვედით?**

— პოლიციამ გამოგვაცილა.

**— სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე სიტყვას თქვენც იტყვით. წარმოიდგინეთ, რომ ახლა სწორედ ეს შეკრებაა. კომიტეტის წევრების კითხვაზე, როგორ დავსაჯოთ გორელი ფეხბურთელები, როგორ უპასუხებთ?**

— რასაც მაქსიმალურად ითვალისწინებს სადისციპლინო კოდექსი.

**— პატაკი უკვე დაწერეთ?**

— დიახ.

**— რა დაწერეთ?**

— ის, რომ გოჩაშვილმა მუშტი დამარტყა და გავაძევე, თანაც ის იქამდე გაფრთხილებული მყავდა; ის, რომ კაიდარაშვილი განზრახ დამეჯახა და წამაქცია; ის, რომ ძოძუაშვილმა წიხლი ჩამცხო; ის, რომ ლაბაძემ მუშტი სახეში დამარტყა.

**— ხვალ-ზეგ გორში თამაშზე რომ დაგნიშნონ, წახვალთ?**

— თუ დამნიშნავენ, რა პრობლემაა, წავალ და ვიმსაჯებ.

**— და არ გეშინიათ?**

— მე რომ უარი ვთქვა გორში მსაჯობაზე, იქით კარაცხელიამ, ფანიაშვილმა, მალალურაძემ, მაშინ ვინღა იმსაჯოს?..

**— ყველაზე უდისციპლინო გუნდი საქართველოში რომელია?**

— სხვათა შორის, სწორედ გორის „დილა". მნიშვნელობა არ აქვს, ეს გუნდი შინ თამაშობს თუ სტუმრად. ისინი ყოველთვის აგრესიულნი არიან მსაჯების მიმართ. პირველივე წუთიდან ასე იყო ბოლნისშიც. მაშინაც კი, როცა „დილა" 2:0 და 3:1 იგებდა, ფეხბურთელები ჩემს ყველა გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ. თავიდანვე აგრესიული განწყობა ჰქონდათ.

**— თქვენი აზრით, ბოლნისური ინციდენტის განხილვა სადისციპლინო სხდომაზე რით დამთავრდება?**

— სასჯელი მაქსიმალური უნდა იყოს. როცა ფეხბურთელი 50-100 ლარით დაისჯება და ამ თანხას დამნაშავის კლუბი იხდის, ფეხბურთელი პასუხისმგებლობას ვერ გრძნობს. ბევრ ევროპულ ქვეყანაში მსაჯის შეურაცხმყოფელი ფეხბურთელი საჯარიმო თანხას პირდაპირ თავის ჯიბიდან იხდის, თანაც ეს 50-100 ლარი არაა, სოლიდური თანხაა. ერთხელ რომ გადაიხდის, მეორედ, მესამედ ფეხბურთელი დაფიქრდება, შინ რალა მიიტანოს. როცა თავის ოფლით ნაშოვნი ფულის გადახდა მოუწევს, მერე წესიერად მოიქცევა. 50-100 ლარი ჯარიმა და ერთ-ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია საქმეს ვერ გამოასწორებს.

**— ფეხბურთელებსაც რომ აქვთ სათქმელი მსაჯთა ცოდვებზე?**

— ჩვენ ჩვენი მსაჯები გვყავს პროფლიგაში და ფედერაციაში. ჩვენი უფროსები ჩვენ არ გვინდობენ და შეცდომებისთვის საკმაოდ მკაცრად ვისჯებით ხოლმე. ფეხბურთელის საქმე ფეხბურთის თამაშია და არა მსაჯების ჩაქოლვა. ჩვენი შეცდომები ფეხბურთელების განსასჯელი არაა.

**კობა ინასარიძე**



## დილამ პროტესტი გადაიფიქრა

**გუშინწინდელი** „სიონი" — „დილა" ფეხბურთის გარდა ყველაფერი იყო. გალახული მსაჯი კახა მესხი და ფეხბურთელი ბექა ჩიტაია... ათასი ლანძღვა-გინება, მუქარა, წიხლი, გაწევ-გამოწევა... ეს ყველაფერი გუშინწინ ბოლნისურ სარბიელზე დაითხა.

წაგებული მატჩი გორელებმა მსაჯს დააბრალეს და გაპროტესტებით დაიმუქრნენ. საჩივარი „დილას" ხელმძღვანელობას გუშინ უნდა დაეწერა. კლუბის პრეზიდენტი გელა ჩხეიძე იურისტთან ერთად ფედერციასაც ეწვია, მაგრამ... გორელებმა პროტესტის შეტანა გადაიფიქრეს.

ამ და გუშინწინ ბოლნისში მომხდარ უმსგავსოებაზე „დილას" პრეზიდენტ გელა ჩხეიძეს ველაპარაკეთ.

— გაპროტესტებისგან თავი შევიკავეთ. უბრალოდ, როცა უფრო ღრმად ჩავიხედე საქმეში, მივხვდი, რომ ამას აზრი არ ჰქონდა. ჩვენთვის სასურველ შედეგს მაინც ვერ მივიღებდით.

**— კონკრეტულად რას ითხოვდით?**

— სიმართლის დადგენას, მაგრამ ერთი პირის დასჯით ჩვენ ბევრი არაფერი მოგვემატება. ამიტომაც აღარ გავასაჩივრეთ. რა აზრი აქვს? დასაჯონ მსაჯი და მერე ამით „დილა" რას მოიგებს?

**— გასაგებია, მაგრამ რაც არ უნდა მომხდარიყო თქვენი ფეხბურთელების საქციელი ყოველგვარ ზღვარს სცილდება...**

— გეთანხმებით. რაც ბოლნისში მოხდა, საშინელება იყო. ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს. ამ საკითხზე აუცილებლად მოვახდენ რეაგირებას.

**— როგორ?**

— კლუბის ხელმძღვანელობა იმსჯელებს „დილას" ფეხბურთელების" ქმედებებზე და შესაბამისად დამნაშავეებს მკაცრად დავსჯით.

**— ფინანსურად თუ...**

— ჯერ არ ვიცი. როცა ბოლნისში მომხდარს გავარჩევთ, ამაზე მაშინ ვიტყვი. ერთს კი ახლავე ვამბობ: ზოგიერთ ფეხბურთელს კლუბი მკაცრად დასჯის.

**— „სიონთან" მატჩის შემდეგ „დილას" მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ხორგუაშვილმა განაცხადა, რომ მსაჯების არაობიექტურობის გამო ბევრი ქულა დაკარგეთ. თქვენც ამ აზრის ხართ?**

— დიახ, ეს მართალია. ბოლო ხანს მსაჯებისგან დაწოლა აშკარად იგრძნობა. თუნდაც წინა ტურის მატჩი გაიხსენეთ „თბილისთან".

**— და თქვენი აზრით, ეს განგებ ხდება?**

— ამას ვერ დავიჩემებ. ვფიქრობ, ეს მსაჯობის დაბალი დონის ბრალიცაა.

**კახა შალამბერიძე**





ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვასო ურალანიდან ჩხუბით მიდის
## გიგიაძემ ლადა გაჭეჭყა



რუსული პრემიერლიგიდან გავარდნილ ელისტურ „ურალანს" ქართველი თავდამსხმელი ვასილ გიგიაძე ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციით ეყრება. ჩვენებურს „ურალანთან" ახლა მხოლოდ ფორმალური ურთიერთობა აკავშირებს — კონტრაქტის ვადა დეკემბერში იწურება. იქამდე კი გიგიაძე კლუბს ვერაფრით დაეხმარება. მიზეზი ქართველი ფეხბურთელის უხეშობაა — რუსეთის თასის მეთექვსმეტედფინალში გიგიაძეს ტოლიატის „ლადას" ფეხბურთელი შემოელახა და მსაჯმაც, ცხადია, მოედნიდან გააძევა. ამის შემდეგ ვასომ მოსკოვის ცსკასთან მერვედფინალური მატჩი გამოტოვა და თუკი სხვა რუსულ კლუბში გააგრძელებს კარიერას, იქაც ოთხი შეხვედრის გაცდენა მოუწევს. ასეთი სასჯელი გამოუწერა გიგიაძეს პრემიერლიგის სადისციპლინო-ტექნიკურმა კომიტეტმა.

**ძახა ზალამბერიძე**

# რუსეთი ყველგან წილში გვიზის?



ევროპელ მოფუტზალეთა ჩემპიონატის მასპინძელი, 10-ათასიანი „ვიტკოვიცე არენა"

2004 წლის 26 იანვრიდან 1 თებერვლამდე ფუტზალში ევროპის 2005 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი გაიმართება. ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად 7 ჯგუფში განაწილებული 28 ქვეყნის ნაკრები გუნდი იბრძოლებს, მათ შორის საქართველოც, რომელიც წილისყრით მე-5 ჯგუფში მოხვდა. გელა ინალიშვილის გუნდის მეტოქეები სერბეთი, რუსეთი და აზერბაიჯანი არიან. ეს შემადგენლობა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერია დანარჩენებთან შედარებით.

ჩვენი ჯგუფის მატჩებს სერბეთი უმასპინძლებს. ევროპის ჩემპიონატზე კი მხოლოდ პირველადგილოსნები გადიან. ფინალური ეტაპი ჩეხეთის ქალაქ ოსტრავაში ჩატარდება.

აქვე სრულად გაგაცნობთ წილისყრის შედეგებს (შრიფტით გამოყოფილია ტურნირის მასპინძელი ქვეყანა):

I ჯგუფი: ბელგია, პოლანდია, ისრაელი, საფრანგეთი
II ჯგუფი: სლოვაკეთი, უკრაინა, ბელარუსი, **B** საკვალიფიკაციოს გამარჯვებული
III ჯგუფი: ანდორა, პორტუგალია, მოლდოვა, **A** საკვალიფიკაციოს გამარჯვებული
IV ჯგუფი: ესპანეთი, სლოვენია, ფინეთი, ლიტვა
V ჯგუფი: სერბეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, საქართველო
VI ჯგუფი: უნგრეთი, ხორვატია, საბერძნეთი, ლატვია
VII ჯგუფი: ბოსნია, იტალია, პოლონეთი, მაკედონია

*A საკვალიფიკაციო: ბულგარეთი, სომხეთი, რუმინეთი, ყაზახეთი*
*B საკვალიფიკაციო: კვიპროსი, ალბანეთი, ინგლისი*







მცველ დავითნიძეს მცველები იქით დასდევენ, გოლის გამტანი კი უმაისურობით იცნობა

*სამშაბათს, „დინამო 2"-თან მატჩის წინ, „ამერის" ცენტრალურ მცველს გიორგი დავითნიძეს „ეროვნულის" გასახდელში კლუბის ადმინისტრატორ მამუკა კვანტალიანისთვის უთქვამს, დღეს გოლს გავიტან და ბურთი მაჩუქეო. გოლის გატანისთვის ბურთს, აბა, როგორ დაამადლიდნენ. მეორე ტაიმის შუაში, როცა ანგარიში ჯერაც არ გახსნილიყო, დავითნიძემ დინამოელთა საჯარიმოში ჩაირბინა, ბურთს დაჰკრა, გაიტანა და მაისურა გაიძრო. ის მატჩი „ამერმა" იმ ერთი გოლით მოიგო. ნამატჩევს კი გიორგიმ, რომელსაც ყველა იტალიურ ყაიდაზე ჯორჯოს ეძახის, ალალად დამსახურებული ბურთი იღლიაში ამოიჩარა*

# ჯორჯოს გულმა უგრძნო
## გიორგი დავითნიძემ სხვის კარში გატანილი ბურთების შეგროვება დაიწყო

**— როცა თავდამსხმელი იმუქრება, გავიტანო, გასაგებია და ეგრეც უნდა იყოს. მაგრამ შენ მცველი ხარ და ეგრე დარწმუნებული რატომ იყავი?**

— ვერ აგიხსნი, უბრალოდ, გული მიგრძნობდა.

**— გორელები ამბობენ, საკუთარ კარში გატანა უფრო ეხერხებაო...**

— მეტოქის კარში მეტი გამიტანია. საკუთარში სულ ორი გოლი მაქვს შეგდებული. იცი, გორელები ამას რატომ ამბობენ? ორჯერვე გორში გავიტანე ავტოგოლი. პირველად, როცა „დილაში" ვთამაშობდი, მეორედ ახლა, „ამერი" „ცხინვალს" გორში ხვდებოდა.

**— „ამერს" ამ სეზონში 13 მატჩში ამდენივე გოლი აქვს გაშვებული. ამ გოლებიდან შენი ბრალი რამდენია?**

— ამ 13 გოლიდან მხოლოდ ერთი იყო ისეთი, საკუთარ თავს და გუნდს რომ ვერ დავადანაშაულებ. პირდაპირ საჯარიმო დარტყმით გაგვიტანეს. დანარჩენი გოლები კი მთლიანად ჩვენი ბავშვური შეცდომების ბრალი იყო. ფაქტობრივად, ყველა ბურთი მეტოქეებს ჩვენვე ვაჩუქეთ. ხან მე ვცდებოდი, ხან ჩემი თანაგუნდელები, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს. პასუხისმგებლობა ყველას გვეკისრება.

**— 12 ბავშვური შეცდომა მეტისმეტი ხომ არ არის იმ გუნდისთვის, რომლის დაცვაშიც საქართველოს ნაკრების ორი ყოფილი წევრი თამაშობს?**

— რა თქმა უნდა, ნამეტანი ბევრია.

**— მიზეზი?**

— გამოცდილება და მონდომება, ცხადია, არ გვაკლია. აქედან გამომდინარე, ერთადერთ მიზეზს შეუთამაშებლობაში ვხედავ. ჩვენ ხომ ახალშექმნილი გუნდი ვართ. ფაქტებიც ამაზე მიგვანიშნებს. პირველი ოთხი თამაშიდან სამი წავაგეთ, მომდევნო ცხრა მატჩში კი მხოლოდ ერთხელ დავმარცხდით.

**— მაგრამ შენ მცველებთან, ამირან კედელაშვილთან და გიორგი ჩიხრაძესთან ერთად ადრეც გითამაშია, ასევე მეკარე დათო ასლანაძესთან ერთადაც...**

— როგორ კარგადაც უნდა ვიცნობდეთ ერთმანეთს, ახალ გუნდში მაინც ყველაფერი თავიდან დასაწყებია-ხოლმე.

**— „ამერი" შენი მეთორმეტე გუნდია...**

— ჰო, ძალიან ბევრი მოგზაურობა მომიხდა.

**— შენს სანაკრებო კარიერას როგორ გაიხსენებ?**

— გასახსენებელი ბევრი არაფერია, მხოლოდ ერთი ამხანაგური მატჩი მაქვს ჩატარებული. უფრო მეტი მოგონება ახალგაზრდულ ნაკრებთან მაკავშირებს.

**— პირველ რიგში ალბათ ის, იტალიაში 0:6 რომ წააგეთ...**

— თუნდაც. ისე, მაშინ კარში ასლანაძე იდგა და ყველაზე ნაკლები შეცდომა მან დაუშვა, სამი გოლი პენალტით გაუტანეს. თავის მართლებას აზრი არ აქვს, მაგრამ მე, კალაძე და მუჯირი სხვებზე სამი წლით უმცროსები ვიყავით.

**— სამაგიეროდ, „ამერში" ვეტერანად ითვლები...**

— ასეა, მიუხედავად იმისა, რომ 25 წლის ზაფხულში გავხდი, ბევრ ჩემს თანაგუნდელზე ათი წლით უფროსი ვარ.

**— მიზნებიც სერიოზული გაქვს...**

— რა თქმა უნდა. პირადად მე კარიერის პირველ ლიგაში დამთავრებას არ ვაპირებ და „ამერს" დიდი მიზნები რომ არ ჰქონდეს, აქ არ ვითამაშებდი.

**— დარწმუნებული ხარ, რომ ეს მიზნები შესრულებადია?**

— მე ვხედავ, როგორ ეკიდება საქმეს კლუბის ხელმძღვანელობა, როგორ მუშაობს მწვრთნელი, როგორი ფეხბურთელები გვყავს და აქედან ვასკვნი, რომ მიზანს აუცილებლად მივაღწევთ. მალე უმაღლეს ლიგაშიც გადავალთ, ევროთასებზეც ვითამაშებთ და იქაც ჩვენს სიტყვას ვიტყვით.

**— თქვენი გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელებიდან ვის გამოარჩევ?**

— არ იფიქრო, რომ პასუხს თავს ვარიდებ და არ მინდა, ვინმეს გული დავწყვიტო, ყველას მართლა ძალიან დიდი მომავალი აქვს. მე რომ თავიდანვე გაიოზ დარსაძე მყოლოდა მწვრთნელად, ვფიქრობ, დღეს უფრო დიდ ფეხბურთს ვითამაშებდი.

**— შენს ოჯახზეც გვითხარი...**

— მყავს მეუღლე ანი და ორი წლის გოგონა ნიცა. მაისში მეორე შვილს ველოდებით და იმედი მაქვს, ბიჭი იქნება.

**— და, რა თქმა უნდა, გინდა, რომ ფეხბურთელი გახდეს...**

— ძალიან მინდა.

**— რატომ? უამრავი სხვა კარგი პროფესია არსებობს...**

— უბრალოდ, ჩემთვის ფეხბურთის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია. როცა ხალხს უყვარხარ და ტაშს გიკრავენ, ამაზე დიდი ბედნიერება არაფერია. ეს ფულზე მეტია.

**ქოტე ქექელია**

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

**პლეი ოფი. 15-19 ნოემბერი**

## შოტლანდია — ჰოლანდია

# მონანიება

## ვინც მოერგება, იმას ერგება



დიკ ადვოკაატის მითითებებს რუუდ ვან ნისტელროი მორჩილად ასრულებს

**თუ გახსოვთ,** ჰოლანდიის ნაკრები იმიტომ ვერ გავიდა თავის შესარჩევ ჯგუფში პირველ ადგილზე, რომ ჩეხეთთან დამარცხდა. ეგებ ისიც გახსოვდეთ, რომ იმ მატჩში დიკ ადვოკაატმა რუუდ ვან ნისტელროი შეცვალა, მანჩესტერელმა კი ეს ამბავი იწყინა, ჯერ გვარიანად გადააფურთხა, მერე კი მწვრთნელს ბოთლიც მოუქნია. ამის მერე ფორვადზე გამწყრალმა ადვოკაატმა ვან ნისტელროი ბოლო მატჩში მოლდოვას წინააღმდეგ აღარ ათამაშა.

მაგრამ ახლა, შოტლანდიასთან საპლეიოფო მატჩის წინ, წყენა დავიწყებულია — ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც, რაკი სასწორზე პორტუგალიის საგზური დევს, ეს კი ყოველგვარ წყენაზე მაღლა დგას.

ერთი სიტყვით, ვან ნისტელროი ისევ ნაკრებშია და ცოდვებსაც ინანიებს: „ფაქტია, რომ მაშინ ძალიან ცუდად მოვიქეცი. მაგრამ იმ მომენტში უბრალოდ ემოციებმა გადამძალა, რისთვისაც გასახდელშივე მწვრთნელსაც და თანაგუნდელებსაც მოვუბოდიშე. ვფიქრობ, ინციდენტი ამით უნდა ამოიწუროს."

თუმცა გლაზგოს „ჰემპდენ პარკზე" ვან ნისტელროის სასტარტო შემადგენლობაში ყოფნას მაინც არ ვარაუდობენ. საქმე ის არის, რომ ადვოკაატი სქოთებთან ერთი ფორვარდით აპირებს თამაშს და ეს ერთი ბარსელონელი პატრიკ კლუივერტი იქნება.

„კი შევრიგდით, მაგრამ ვიცი, რომ სასტარტო შემადგენლობაში ალბათ არ ვიქნები — განმარტა ვან ნისტელროიმ — მწვრთნელი თვლის, რომ ჩემი და კლუივერტის მოედანზე ერთდროულად ყოფნა მიზანშეწონილი არ არის."

ვან ნისტელროის 27 სანაკრებო შეხვედრაში 11 გოლი აქვს გატანილი, თუმცა: „თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, კლუბში ვის უკეთესი შედეგი აქვს, მე კლუივერტს ვჯობნი, მაგრამ პატრიკს ნაკრებში ჩემზე მეტი გოლი აქვს გატანილი და ეს გარემოებაც გასათვალისწინებელია."

კლუივერტი თუ ვან ნისტელროი? ამის თაობაზე არსენალელმა დენის ბერხკამპმა თქვა: „ვინ არის საუკეთესო ჰოლანდიელი ფორვარდი ძალიან ძნელი გასარკვევია და დიდი მნიშვნელობაც არ აქვს. მთავარია, ვინ უკეთ ერგება მწვრთნელის ტაქტიკურ გეგმას."

ცხადია, ემზადებიან შოტლანდიელებიც. უკვე გადაწყდა, რომ პირველ მატჩში ვერ ითამაშებს „ვულვერჰემპტონის" ნახევარმცველი კოლინ კამერონი, რომელიც ნაკრების ექიმებმა სამედიცინო შემოწმების მერე უკან გააბრუნეს.

კამერონის შემადგენლობიდან ამოვარდნა მასში მოზერუელელი სტივენ პირსონის ჩასმას ნიშნავს. ეს ფეხბურთელი ბერტი ფოგტსმა ახალგაზრდული ნაკრებიდან მიიწვია და შაბათს დებიუტი ექნება.

ჯერაც გაურკვეველია დანდელი გევინ რაეს ბედი. მან სქოთური პრემიერლიგის წინა ტურში ვერ ითამაშა, თუმცა „დანდის" მენეჯერმა ჯიმ დაფიმ თქვა, ვინძლო, ჰოლანდიასთან მატჩამდე მომჯობინდესო.

**ირაკლი ნინიძე**

### შოტლანდია

**მეკარეები:** ნილ ალექსანდერი (კარდიფი, უელსი), რობერტ დუგლასი (სელტიკი), ჯონათან გოულდი (პრესტონი, ინგლისი);
**მცველები:** გრემ ალექსანდერი (პრესტონი, ინგლისი), სტივენ კოლდუელი (ნიუკასლი, ინგლისი), კრისტიან დეილი (ვესტ ჰემი, ინგლისი), ჯეკი მაკნამარა (სელტიკი), მორის როსი (რეინჯერსი), ლი უილკი (დანდი), სტივენ პრესლი, ენდი ვებსტერი (ორივე ჰართსი);
**ნახევარმცველები:** პოლ დევლინი (უოტფორდი, ინგლისი), ბარი ფერგიუსონი (ბლექბერნი, ინგლისი), დარენ ფლეტჩერი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), გარი ნეისმიტი (ევერტონი, ინგლისი), სტივენ პირსონი (მოზერუელი), გევინ რაე (დანდი), ნილ მაკკანი (საუთჰემპტონი, ინგლისი);
**თავდამსხმელები:** სტივენ კროუფორდი (დანფერმლაინი), პოლ დიკოვი (ლესტერი, ინგლისი), ენდი გრეი (ბრედფორდი, ინგლისი), დონ ჰათჩისონი (ვესტ ჰემი, ინგლისი), ჯეიმს მაკფადენი (ევერტონი, ინგლისი), კენი მილერი (ვულვერჰემპტონი, ინგლისი)



## რუსეთი — უელსი



ტრავმირებული რობი სევიჯი მოსკოვში მაინც წაიყვანეს

# ჰიუზის სამყარო ცვალებადია, იარცევის რუსეთი სტაბილური

**რუსთა** ნაკრების მწვრთნელმა გიორგი იარცევმა უელსთან საშინაო შეხვედრისთვის 22-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. გუნდში რაიმე პრინციპული ცვლილებები არ არის, მოულოდნელი მხოლოდ ერთი ფეხბურთელის გამოჩენაა — ცესკას მეკარე იგორ აკინფეევი.

რუსთა ბანაკში სხვა საინტერესო ამბავიცაა, ტრავმები მოიშუშეს და განაცხადში მოხვდნენ სანქტპეტერბურგელი ნახევარმცველი ვლადისლავ რადიმოვი და პორტუელი დმიტრი ალენიჩევი.

იარცევმა ვოლგოგრადელ ვეტერანს, ვალერი ოსიპოვსაც დაუძახა, რომელმაც რუსეთის ნაკრების ბოლო შესარჩევი მატჩი გამოტოვა. ოსიპოვმა უელსთან მატჩში ჩელსელი ალექსეი სმერტინი უნდა შეცვალოს, რომელსაც მუხლზე ოპერაცია აქვს გასაკეთებელი.

უელსელებს კი გამოაკლდათ მარკ პემბრიჯი. ფულემელ ნახევარმცველს გაჭიმული კუნთი მოსკოვში გამგზავრების საშუალებას არ აძლევს, თუმცა ამბობენ, საპასუხო მატჩისთვის, რომელიც კარდიფის „მილენიუმზე" ოთხი დღის მერე გაიმართება, ეგებ მომჯობინდესო.

გაურკვეველია რობი სევიჯის ამბავი. ის ჯანმრთელად ვერაა, თუმცა მარკ ჰიუზი მოსკოვში მაინც იახლებს. აქვე გავიხსენოთ, რომ უელსელებს ადრევე გამოაკლდათ საიმონ დევისი, ადრიან უილიამსი და რობერტ პეიჯი. უილიამსი და დევისი საპასუხო შეხვედრაშიც ვერ ითამაშებენ, პეიჯისა კი დიდი იმედი აქვთ.

ტრავმები აქვთ კრეიგ ბელამის და რაის ვესტონსაც.

„რჩეული 11 ფეხბურთელის შეკრება ბოლოს 13 დღის წინ მოვახერხე — დაიჩივლა მარკ ჰიუზმა — მაგრამ სამყაროში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, მუდმივად ყველაფერი იცვლება და ფეხბურთელების ცვლასაც უნდა შევეგუოთ."

და ისე რომ არ გამოვიდეს, უელსელებს ყველა ემტვრევათ და არავინ უჯანსაღდებათ, აღვნიშნოთ, რომ შაბათამდე ვულვერჰემპტონელი ნათან ბლეიქის და ნეილ რობერტსის სრულ გამოჯანმრთელებას ელიან.

სხვა მხრივ კი რობ ერნშოუ, რაიან გიგზი და ჯონ ჰართსონი შაბათის მოლოდინში კბილებს ილესავენ.

**ირაკლი ნინიძე**

### უელსი

**მეკარეები:** პოლ ჯოუნსი (საუთჰემპტონი, ინგლისი), მარკ კროსლი (ფულემი, ინგლისი), დარენ უორდი (ნოტინგემი, ინგლისი), დევიდ კოინი (ლესტერი, ინგლისი);
**მცველები:** დინ ბარნარდი (გრიმსბი, ინგლისი), მარკ დილანი, რიჩარდ ედვარდსი (ორივე ასტონ ვილა, ინგლისი), დევიდ გაბიდონი (კარდიფი), ენდრიუ მელვილი (ფულემი, ინგლისი), კიტ საიმონსი (კრისტალ პალასი, ინგლისი);
**ნახევარმცველები:** ენდრიუ ჯონსონი, ჯორჯ კუმასი (ორივე ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), ჯეიმს ოსტერი (სანდერლენდი, ინგლისი), კარლ რობინსონი (პორტსმუთი, ინგლისი), რობი სევიჯი (ბირმინგემი, ინგლისი), გარი სპიდი (ნიუკასლი, ინგლისი), რიჩარდ ტროლოპი (ნორთჰემპტონი, ინგლისი), დეიმონ ვუგანი (ქრიუ, ინგლისი), რაიან გიგზი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი);
**თავდამსხმელები:** ნათან ბლეიქი (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), რობერტ ერნშოუ (კარდიფი), ჯონ ჰართსონი (სელტიკი, შოტლანდია), გარი ტეილორი (ნოტინგემი, ინგლისი), ნიკ რობერტსი (უიგანი, ინგლისი)

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

*ამ უქმეებზე და მომავალ ოთხშაბათს სამხრეთამერიკელები იმ საქმეს გააგრძელებენ, რომლისთვისაც ევროპელები ჯერ კიდევ დიდხანს ვერ მოიცლიან — ოკეანის გადაღმა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი გრძელდება*

## უხერხულია, მაგრამ მოსახერხებელი

### პიზარო პერუს გოლს დაჰპირდა



კლაუდიო პიზარო და მისი პერუელი თანაგუნდელები დიდ გულზე ხრიან

ბრაზილიის ნაკრები ერთადერთია, რომელსაც ჯერ მუნდიალი არ გამოუტოვებია და ახალი შესარჩევი ციკლიც 100-პროცენტიანი შედეგით დაიწყო. პენტაკამპეონებმა პირველი ორი მატჩი მოიგეს. მესამე ტურში კი ისინი ლიმაში პერუს ნაკრებს დაუპირისპირდებიან, რომელსაც თავის მხრივ, 1982 წლის მერე მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში აღარ ღირსებია.

პერუელებს ორ მატჩში სამი ქულა და ბრაზილიის დამარცხების დიდი იმედი აქვთ. მათ ბრაზილიელ მწვრთნელს, პაულო აურუორის უთქვამს, კლაუდიო პიზარო და ანდრეს მენდოსამ ისე თუ ითამაშეს, როგორც შეუძლიათ, წინ ვერავინ დაგვიდგებაო. მიუნხენის „ბაიერნის" ფორვარდმა პიზარომ კი მწვრთნელის ნათქვამი ასე განავრცო: „ბრაზილია, ცხადია, ძალიან უხერხული მეტოქეა, მაგრამ მისი დაუმარცხება შეიძლება. პირადად მე იმედი მაქვს, გოლსაც გავიტან."

პიზაროს ამ შესარჩევ ციკლში სანაკრებო გოლი ჯერ არ გაუტანია, ხოლო პერუს შესარჩევ მატჩებში არასდროს დაუმაპცხებია ბრაზილია.

ბრაზილიას კი არ ეყოლება „რეალის" განაპირა მცველი რობერტო კარლოსი და ბარსელონელი რონალდინიო.

ამ უქმეებზე შესაძლოა, კოლუმბიის ნაკრების მწვრთნელის, ფრანსისკო მატურანას ბედი გადაწყდეს. კოლუმბიელები ციკლის დაწყების წინ დიდ გულზე კი იყვნენ, მაგრამ ორივე თამაში წააგეს და შაბათს და ოთხშაბათს, სულ მცირე, ოთხი ქულა თუ ვერ მოიხვეჭეს, მატურანას ველარაფერი უშველის, ისევე როგორც, მათ გერმანიაში გამგზავრების ნაცარტუტად ქცეულ იმედს.

შაბათს კოლუმბიელები ვენესუელას მასპინძლობენ და თუ რამ სასწაული არ მოხდა, დაამარცხებენ. აი, ოთხშაბათს კი მათი მეტოქე არგენტინაა, რომელთანაც ფრეზეც ყაბულს უნდა იყვნენ.

მატურანას გასაჭირი ისიცაა, რომ ინტერელი მცველი ივან კორდობა დისკვალიფიცირებულია.



ალვარო რეკობა

ურუგვაის კი ჩილესთან შეხვედრაში ვინძლო არ ჰყავდეს კორდობას ინტერელი ძმაკაცი ალვარო რეკობა, ვინაც ფეხს იტკიებს. სრული იდილია არც ჩილელთა ბანაკშია, რაკი მარსელო სალასი და დავიდ პიზარო დამტვრეულები არიან.

**ძოტე ძეძელია**

## ამხანაგური მატჩი

**პოლონეთი 3:1 იტალია**

1:0 ბაკი (6), 2:0 კლოსი (18), 2:1 კასანო (19), 3:1 კრჟინოვეკი (85)

პოლონეთი: დუდეკი, ტ. კლოსი, ი. ბაკი (ჰაიტო 72), ზიელინსკი, მიხალ ჟევლაკოვი (რჟასა 77), კოსოვსკი (გორავსკი 90), ლევანდოვსკი, კუკიელკა, კრჟინოვეკი, რასიაკი (საგანოვსკი 86), ნიედზელანი (ჟურავსკი 80)

იტალია: ტოლდო, პანუჩი (გატუზო 55), ნესტა, კანავარო (მატერაცი 46; ფერარი 90), პანკარო (ოდო 46), მარკიონი (გროსო 55), კ. ძანეტი, პეროტა, დი ვაიო (მიკოლი 62), ვიერი, კასანო (ბაცანი 82)

მსაჯი: ტომ-ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

7 000 მაყურებელი

## კასანოს სიხარული ერაყმა ჩაუშხარა

ერაყში მომხდარი ტერაქტის გამო, რომელმაც 18 იტალიელი სამხედრო შეიწირა, ამ მატჩის გამართვა საეჭვო გახადა, მაგრამ საბოლოოდ გუნდები თამაშზე დაყაბულდნენ... შეხვედრის წინ დაღუპულთა ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.

სამი გოლი „სკუადრა აძურას" კარში? მსგავსი რამ ბოლოს როდის მოხდა, ძნელი გასახსენებელია. სამიდან ორი საწყის ოც წუთში გავიდა. ნაქებ იტალიურ დაცვას ასეთი ჩავარდნა დიდი ხანია, არ ჰქონია.

აპენინელთა შორის ორი ფეხბურთელის დებიუტი შედგა. ჯოვანი ტრაპატონიმ ნაკრების კარი რომაელ ანტონიო კასანოს და პარმელ მარკო მარკიონის გაუღო.

შეხვედრა პოლონელთა იერიშებით დაიწყო და შედეგმა არ დააყოვნა. მასპინძლებმა პირველივე კუთხურით იხეირეს. საჯარიმოდან გარეთ გაძევებული ბურთი იაცეკ ბაკს მიუვიდა და მანაც თხუთმეტიოდე მეტრიდან ტოლდოს გაუტანა.

გალაღებულმა პოლონელებმა უფრო მონდომებით შეუტიეს და მალე მეორე გოლი მოიმკეს. იაცეკ კრჟინოვეკის ჩაწოდებულ ბურთს მცველმა ტომაშ კლოსმა ზუსტი თავური შეაგება და ანგარიში გაზარდა.

ასეთ დასაწყისს, ცხადია, არავინ ელოდა და დამხვდურთა სიხარული ანტონიო კასანომ ოდნავ გაანელა. ირჟი დუდეკთან პირისპირ აღმოჩნდა, მეკარეს გასცდა და საგოლედ დაჰკრა.



ანტონიო კასანო (№10) სადებიუტო მატჩში გოლით გამოირჩა

შესვენების შემდეგ სტუმრებმა დაცვაში თამაში გამოასწორეს და პოლონელები ისე ველარ ლაღობდნენ, როგორც პირველ ტაიმში, მაგრამ იტალიელებმა შეტევა ვერააწყვეს. საბოლოოდ ტოლდოს კარში მესამე გოლიც გავიდა. იაცეკ კრჟინოვეკის დარტყმული ბურთი კარის ძელს მოხვდა და ბადეში შევარდა.

ჯოვანი ტრაპატონი: „მათ ორჯერ სწრაფად გაგვიტანეს, რაც გარკვეულწილად მოულოდნელი იყო. ამის შემდეგ ვითარებას ჩვენ ვაკონტროლებდით. მაგრამ მხოლოდ ერთ გოლს დავჯერდით. ვფიქრობ, მარცხი სავსებით ლოგიკურია".

ანტონიო კასანო: „სადებიუტო მატჩში გატანილი გოლი კარგია, თუმც ერაყში მომხდარით იმდენად შეძრწუნებული ვიყავი, რომ სიხარული ვერც გამოვხატე".

პოლონეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი პაველ იანასი: „შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ. ეს გამარჯვება ჩემს ფეხბურთელებს საკუთარი თავის რწმენას შემატებს და სამომავლოდ გუნდის შენებაში დამეხმარება".

**გაჟა ხუციშვილი**

## პორტუგალია

**სუპერლიგა. გადადებული მატჩი**

**მარიტიმუ 1:1 ბენფიკა**

1:0 დინდა სანტუში (65), 1:1 სიმაო (82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 11 | 9 | 2 | 0 | 25:7 | 29 |
| სპორტინგი | 11 | 7 | 1 | 3 | 19:14 | 22 |
| ბენფიკა | 11 | 6 | 3 | 2 | 20:11 | 21 |
| ბრაგა | 11 | 6 | 3 | 2 | 12:9 | 21 |
| ბეირა მარი | 11 | 6 | 2 | 3 | 20:13 | 20 |
| ბოავიშტა | 11 | 5 | 5 | 1 | 12:5 | 20 |
| მარიტიმუ | 11 | 5 | 4 | 2 | 11:9 | 19 |
| ნასიონალი | 11 | 5 | 0 | 6 | 16:11 | 15 |
| ბელენენსეში | 11 | 3 | 5 | 3 | 15:17 | 14 |
| აკადემიკა | 11 | 4 | 2 | 5 | 12:14 | 14 |
| რიუ ავე | 11 | 3 | 4 | 4 | 13:11 | 13 |
| ალვერკა | 11 | 4 | 1 | 6 | 12:12 | 13 |
| ჟილ ვისენტე | 11 | 3 | 3 | 5 | 14:11 | 12 |
| მორეირენსე | 11 | 3 | 3 | 5 | 8:15 | 12 |
| ლეირია | 11 | 3 | 2 | 6 | 12:20 | 11 |
| გიმარაეში | 11 | 2 | 3 | 6 | 12:17 | 9 |
| ფერეირა | 11 | 2 | 0 | 9 | 5:20 | 6 |
| ამადორა | 11 | 1 | 1 | 9 | 6:28 | 4 |

**ყურადღება!**
ფკ ამერის
საფეხბურთო სკოლამ
დაიწყო
1990-1996 წლებში
დაბადებული
ბავშვების მიღება
ჩვენი მისამართია:
თიანეთის გზატკეცილი
25 (გლდანულის
გადასახვევთან),
ოლიმპიური
რეზერვების სკოლის
ტერიტორიაზე
ტელეფონი: 39-00-98,
899 78-19-24, 893 25-14-66

*ამასწინათ მადრიდის „რეალის" პრეზიდენტ ფლორენტინო პერესის ალბიონური ინტერესების შესახებ გაუწყეთ. ამრიგად, მაიკლ ოუენი, „ლივერპულისა" და მსოფლიოს ფეხბურთის კაშკაშა ვარსკვლავი, ინგლისში კასტილიური გრანდის ემისართა ხშირი სტუმრობის მიზეზი გამხდარა. სენიორ ფლორენტინო ჭკვიანი მონადირეა და ბასრი სატრანსფერო მზერაც ენფილდელ ვარსკვლავთბიჭუნას შესაბამის დროს მიაპყრო*

# ოუენი წამსვლელია

## ოქროს ბიჭს ლივერპ-ულიე მობეზრდა



## პერესს ზარაფხანაში მაიკლიც უნდა

**ალმოჩნდა**, რომ ოუენი „ლივერპულის" ამჟამინდელი მდგომარეობით უკმაყოფილოა და სხვა, საფეხბურთო დონის მხრივ უფრო აღმატებულ გუნდში გადასვლაზეც გულახდილად საუბრობს. „ამ ეტაპზე ჩემი და „ლივერპულის" საერთო მომავალზე მსჯელობა შეუძლებელია. კი, ბატონო, თუ ყველა სეზონში პრემიერლიგის თაოსნები ვიქნებით, მაშინ სულ არ ვიფიქრებ უცხოეთში წასვლაზე, მაგრამ ახლა ჩემთვის ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რისი შანსიც „ლივერპულში", სამწუხაროდ, ნაკლებად მექნება" — განაცხადა ოუენმა.

კურანისგან განსხვავებით, ლუსიოთი იტალიური კლუბების დაინტერესებას უფრო დიდი ისტორია აქვს. ამ ზაფხულს თითქმის გადაწყვეტილი იყო ბრაზილიელის „რომაში" გადასვლა, მაგრამ მხარეებს შორის ფინანსური უთანხმოების გამო ტრანსფერი ბოლო მომენტში ჩაიშალა და ლუსიოს ნაცვლად „სტადიო ოლიმპიკოზე" კრისტიან კივუმ ამოყო თავი.

ამის შემდეგ სარბიელზე „მილანი" და „იუვენტუსი" გამოჩნდნენ. პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ბებერ ქალბატონს" უკვე მიღწეული აქვს შეთანხმება გერმანულ კლუბთან და მომავალი სეზონიდან ლუსიომ „იუვეს" მაისურა უნდა მოირგოს. მიუხედავად ამისა, „მილანი" ფარხმალის დაყრას არ აპირებს და კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი „ბაიერის" ხელმძღვანელებთან შეხვედრას გეგმავს. „შავწითლებს" ლუსიო ლეგენდარული პაოლო მალდინის შემცვლელად ესახებათ.

აქვე აღვნიშნოთ, რომ ბრაზილიელზე კონკურენცია ძალიან დიდია. კარგა ხანია, მას ლონდონის „ჩელსიმ" და მადრიდის „რეალმა" დაადგეს თვალი, მაგრამ იტალიური გრანდების ზრახვები გაცილებით საფუძვლიანად გამოიყურება.

**გიორგი ძაძამიძე**



ლუსიო

# კვირის კალენდარი

10 ნოემბერი - გაზეთი „ახალი ვერსია", მესამე ეტაპის მეთორმეტე ტური, ორი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების შესარჩევი(19 ნოემბერი), მესამე ეტაპის მეხუთე და მეექვსე ტურის წინასწარი შედეგები, მდგომარეობა ექვსი ტურის შემდეგ.

11 ნოემბერი - გაზეთი „სარბიელი", მესამე ეტაპის მეთერთმეტე ტური, ორი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების შესარჩევი(15 ნოემბერი).

12 ნოემბერი - გაზეთი „სარბიელი", მესამე ეტაპის მეთერთმეტე ტური, ორი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების შესარჩევი(15 ნოემბერი), მესამე ეტაპის მეშვიდე და მერვე ტურის წინასწარი შედეგები, მდგომარეობა რვა ტურის შემდეგ.

13 ნოემბერი - გაზეთი „სარბიელი", მესამე ეტაპის მეთერთმეტე ტური, ორი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების შესარჩევი(15 ნოემბერი), მესამე ეტაპის მეშვიდე და მერვე ტურის წინასწარი შედეგები, მდგომარეობა რვა ტურის შემდეგ.

14 ნოემბერი - გაზეთი „სარბიელი", მესამე ეტაპის მეთერთმეტე ტური, ორი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების შესარჩევი(15 ნოემბერი).

15 ნოემბერი - გაზეთი „სარბიელი", მესამე ეტაპის მეთორმეტე ტური, ორი ვარიანტი, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები (19 ნოემბერი), მესამე ეტაპის მე-9 და მე-10 ტურის წინასწარი შედეგები,მდგომარეობა ათი ტურის შემდეგ.

# საკონკურსო ბიულეტენები მიიღება

1. ტოტალიზატორ „ტაიმში", კოსტავას ქ.№37 .
2. მეტრო „ვაგზლის მოედანი" პირველი გამოსასვლელი „პლანეტის" ჯიხური №8
3. მეტრო „გოცირიძე" „ფორტე 4"
4. დოლიძის ქუჩის კუთხეში „პლანეტის" ჯიხური №18 ატელიეს წინ
5. მეტრო „ვარკეთილი" „ფორტე 2"
6. მეტრო „სამგორი" „ფორტე 9"
7. მეტრო „თავისუფლების მოედანი" მაღაზია „თბილისი"
8. მეტრო „ახმეტელი" „ფორტე 7"
9. მეტრო „ღრმაღელე" „პლანეტის" ჯიხური №20
10. მეტრო „დიდუბესთან" „პლანეტის" ჯიხური №17
11. გადასასვლელ ხიდთან „პლანეტის" ჯიხური №16
12. მარჯანიშვილის მოედანზე „პლანეტის" ჯიხური №15
13. „მაცნეს" ჯიხური №22 (უნივერსიტეტის პირდაპირ)
14. „მაცნეს" ჯიხური №29 (მეცხრე საავადმყოფოს პირდაპირ)
15. ქუთაისში ნიუპორტის ქ. 1 ოთახი 21 (მესხიშვილის თეატრის უკან)
16. ბათუმში ზუბალაშვილის №13 (ავთო გადახაძე, 12-დან 15 საათამდე, 7-45-82)

ყველა მიმღები პუნქტი აღნიშნული ფორტეთი მდებარეობს მეტროში

# საუკეთესო პროგნოზისტის კონკურსი „ფეხბურთი 2003-2004"

III ეტაპი, XI ტური

სახელი, მამის სახელი, გვარი ----------------------

რჩევა კონკურსანტთან ჩაბარების ბოლო ვადაა 14.11.03

შტამპის | ადგილი

III ეტაპი, XI ტური
ჩაბარების ბოლო ვადაა 14.11.03

სახელი, მამის სახელი, გვარი ----------------------

მისამართი----------------------

საკონტაქტო ტელეფონი ----------------------

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 15.11 | შოტლანდია - ნიდერლანდები | | 19.00 | 15.11 | შოტლანდია - ნიდერლანდები | |
| 20.30 | 15.11 | ხორვატია - სლოვენია | | 20.30 | 15.11 | ხორვატია - სლოვენია | |
| 20.00 | 15.11 | რუსეთი - უელსი | | 20.00 | 15.11 | რუსეთი - უელსი | |
| 22.15 | 15.11 | ლატვია - თურქეთი | | 22.15 | 15.11 | ლატვია - თურქეთი | |
| 01.00 | 16.11 | ესპანეთი - ნორვეგია | | 01.00 | 16.11 | ესპანეთი - ნორვეგია | |
| 18.00 | 15.11 | შვეცია - ესპანეთი (21წ) | | 18.00 | 15.11 | შვეცია - ესპანეთი (21წ) | |
| 20.30 | 15.11 | შვეიცარია - ჩეხეთი(21წ) | | 20.30 | 15.11 | შვეიცარია - ჩეხეთი(21წ) | |
| 22.15 | 15.11 | პორტუგალია - საფრანგეთი(21წ) | | 22.15 | 15.11 | პორტუგალია - საფრანგეთი(21წ) | |

III ეტაპი, XI ტური | III ეტაპი, XI ტური

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 15.11 | შოტლანდია - ნიდერლანდები | | 19.00 | 15.11 | შოტლანდია - ნიდერლანდები | |
| 20.30 | 15.11 | ხორვატია - სლოვენია | | 20.30 | 15.11 | ხორვატია - სლოვენია | |
| 20.00 | 15.11 | რუსეთი - უელსი | | 20.00 | 15.11 | რუსეთი - უელსი | |
| 22.15 | 15.11 | ლატვია - თურქეთი | | 22.15 | 15.11 | ლატვია - თურქეთი | |
| 01.00 | 16.11 | ესპანეთი - ნორვეგია | | 01.00 | 16.11 | ესპანეთი - ნორვეგია | |
| 18.00 | 15.11 | შვეცია - ესპანეთი (21წ) | | 18.00 | 15.11 | შვეცია - ესპანეთი (21წ) | |
| 20.30 | 15.11 | შვეიცარია - ჩეხეთი(21წ) | | 20.30 | 15.11 | შვეიცარია - ჩეხეთი(21წ) | |
| 22.15 | 15.11 | პორტუგალია - საფრანგეთი(21წ) | | 22.15 | 15.11 | პორტუგალია - საფრანგეთი(21წ) | |

ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 15 ნოემბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმში" და გაზეთ „ახალი ვერსიის" რედაქციაში (მხოლოდ 15 ნოემბერს)

# მაგრაქველიძეც ალაპარაკდა სორელმა გაგდების მეტი არაფერი იცის

*რუსთაველზე ხალხი შევარდნაძის და მთავრობის წინააღმდეგ „ირაზმება", ბორჯღალოსნები კი კლოდ სორელის გადადგომას ითხოვენ. ამით იმის თქმა კი არ გვსურს, რომ შევარდნაძე სორელია, ან პირიქით. უბრალოდ, ორივეგან ერთია მოთხოვნის არსი – წადი!*
*რომელი უფრო ძლიერი ოპოზიციაა, ამას, მოდი, ნუ გავარჩევთ. დღეს კი სორელისგან შერისხულ კიდევ ერთ მორაგბეს გაუჩნდა სურვილი, ელაპარაკა მანამდე ტაბუდადებულ თემებზე. ეს ინტერვიუ მამუკა მაგრაქველიძის ინიციატივით შედგა. მამუკამ საფრანგეთიდან დაგვირეკა რედაქციაში, სათქმელი მეც დამიგროვდაო.*
*სანამ ინტერვიუს წაიკითხავთ, გეტყვით, ეს ის მაგრაქველიძეა, შარშან საფრანგეთში აკრძალული პრეპარატების მიღება-გასაღების ბრალდებით ორდღიან პატიმრობაში რომ იყო. სორელმა და რაგბის კავშირის ვიცეპრეზიდენტმა ზაზა ქასაშვილმა მაგრაქველიძე მაშინ მიწასთან გაასწორეს, თუმც „კირვანად" წოდებულმა ექსბორჯღალოსანმა სასამართლო მოიგო და კარიერაც მარტომ ააწყო თავიდან*



რუმინეთთან შარშან წაგებული მატჩი მამუკა მაგრაქველიძისთვის ბოლო სანაკრებო იყო

— სათქმელი მეც მაქვს, ბევრი რამე ვიცი, რაც სხვისთვის უცნობია. აქ ნაკრების წევრებს კი არა, საზოგადოებას ვგულისხმობ, თორემ ბიჭებმა ყველაფერი კარგად იციან — ასე დაიწყო მაგრაქველიძესთან საუბარი.

**— კი, ბატონო, დავიწყოთ...**

— ჯერ ის ვთქვათ, რომ ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ქართულ რაგბიში არაფერი გამოსწორებულა, პირიქით, უკან-უკან მივდივართ. საუბედუროდ, ეს მსოფლიოს თასზე გამოჩნდა — გუნდი გუნდს არ ჰგავდა. რას ათამაშებდა ბიჭებს სორელი, ალბათ თვითონაც არ იცის. გარდა ამისა, ნაკრების ფიზიკური და ტაქტიკური მომზადება ნული იყო. თვითონ ბიჭები ამბობენ, ერთ ტაიმს ვძლებდით, მერე კი, ძლივს დავდიოდითო. მწვრთნელმა და უფროსობამ არაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ ნაკრები ნორმალურად მომზადებულიყო.

**— ვერ დაგეთანხმები, ნაკრები ორი თვე საფრანგეთში იყო შეკრებაზე...**

— სწორედ მაგას ვამბობ, რომ არ იცით, რა პირობებში. მე რამდენჯერმე ავედი ბიჭებთან შეკრებაზე, მოვინახულე, ველაპარაკე... ბოლოს და ბოლოს ჩემი ძმები არიან და მათთან ყოფნას ვერავინ დამიშლის. დამიჯერე, უმეტესობა უკმაყოფილო იყო, ვარჯიშებზე ოფლს ვერ იღვრიდნენ. იმიტომ, რომ სორელი რაღაც ახალი მეთოდით ავარჯიშებდა, რომლის შედეგიც კარგად გამოჩნდა. ერთი სიტყვით, უფროსობამ, ბოდიში და, ფეხებზე დაიკიდა მსოფლიოს თასისთვის მოსამზადებელი ეტაპი, აქაოდა, მსოფლიოს თასზე გავედით და ჩვენ ჩვენი მისია შევასრულეთო. ანდა რა იყო, სასპარინგოდ უმდაბლესი ლიგების სამოყვარულო ფრანგული კლუბები რომ აირჩიეს?! მათთან სპარინგში ახალს კი არა, რაც იცი, ისიც დაგავიწყდება.

**— კი მაგრამ, ტესტების კალენდარი ხომ ერთი წლით ადრე დგება, ამასთან უკეთესი შეკრების დაფინანსება და კარგი სპარინგ-პარტნიორის მოძებნა დიდ ფინანსებთანაა დაკავშირებული.**

— მაშინ ეს მითხარი, რისი გულისთვის გახვედი მსოფლიოს თასზე, იქ რომ ჩაისვარო? რა, არ იცოდა რაგბის კავშირმა, რომ სამსოფლიოსთასოდ დიდი ფული დასჭირდებოდა? ბოლოსკენ რომ ატეხა ერთი ვაი-ვიში, მანამდე ეზრუნა, მოეძებნა სპონსორები, განძრეულიყო... უფროსობას ნორმალურად რომ ეზრუნა, ჩვენი ნაკრები ათასჯერ უკეთესად გამოვიდოდა. ურუგვაის ვერ უგებს, რაღაზეა ლაპარაკი. ეს იყო სირცხვილი. აქ, საფრანგეთში, ტელევიზიით ატრიალებენ საქართველო—ურუგვაის მატჩის მომენტებს და კომენტარი არ გაინტერესებს? ქრესტომათიული მაგალითი ვართ იმისა, როგორ არ უნდა ითამაშოს გუნდმა შერკინებაში და საერთოდ. მეტი სირცხვილი რაღა გინდა. და ვინ არის ამაში დამნაშავე? რა თქმა უნდა, სორელი, რომელიც ორი წლის წინ უნდა წასულიყო. არ წავიდა და უკვე პორტუგალიასთანაც კი ვაგებთ. ცოტა ხანში რუსეთის დამარცხებაც სანატრელი გაგვიხდება. დამიჯერე, ბიჭების ოთხმოცდაათი პროცენტი სორელს აგინებდა ჯერ კიდევ მსოფლიოს თასის წინ, მაგრამ საჯაროდ ხმას ვინ ამოიღებს, ხომ გააგდებს ეგრევე ნაკრებიდან და ამით ოცნებას დაუსამარებს, მეტი სორელმა არაფერი იცის. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ მასზე გაბრაზებული ვარ, არამედ იმიტომ, რომ სორელი დაღუპავს ქართულ რაგბის.

ახლა ერთ ფრანგულ გაზეთში წავიკითხე ქასაშვილის ინტერვიუ, სადაც იგი ამბობს, სორელს ოთხწლიანი კონტრაქტი შევთავაზეთ და მასთან ერთად რაგბის განვითარების გეგმა გვაქვსო. კინაღამ გული გამისკდა. ქასაშვილი და სორელი ყველაფერს წყალში ჩაყრიან, ერთმანეთის კუდები არიან, როგორც უნდათ, ისე ჭრიან და კერავენ. ჯერ მე რეები გამიკეთეს, კინაღამ დამღუპეს კაცი...

**— დოპინგ-სკანდალს გულისხმობ?**

— ჰო... ახლაც მიჭირს მაგ ამბის გახსენება. კაცს სასამართლოები მქონდა, ციხე მემუქრებოდა, სორელმა და ქასაშვილმა კი მიწასთან გამასწორეს. ფრანგულ პრესაში მაგათი ინტერვიუები იბეჭდებოდა, სადაც ამბობდნენ, რომ ვარ ეგოისტი, უდისციპლინო და ჩემგან ყველაფერია მოსალოდნელი. ვეღარ მოვითმინე, ორივე ერთად ენაზე და საქმის გარჩევაც მოხდა. პასუხი მოვთხოვე და იცი რა მითხრეს? შენ ქართულ რაგბის არცხვენ და ჩვენ ასეთი პოლიტიკა გვაქვს, შენნაირები უნდა გავრიყოთო. სორელმა მომაძახა, ნაკრებს ვეღარ გაეკარებიო. მე კი ვუთხარი, დავამტკიცებ, ვინ ვინ არის და თავი დამანებე-მეთქი. როგორც იცით, სასამართლომ ყველაფერში გამამართლა. ახალი კლუბიც მოვძებნე და ახლა ელიტარულ ლიგაშიც ვარ. ხომ გამოჩნდა ვინ არცხვენს ქართულ რაგბის. მე ვიცი, რატომ გამწირეს ასე... ჩემი ჩაძირვა უნდოდათ...

**— რატომ?**

— სამი-ოთხი წლის წინ საფრანგეთში სამოცდაათამდე ქართველი მორაგბე ჩამოიყვანეს სორელმა და ქასაშვილმა, მაგრამ მერე მათ ბედზე აღარავის უზრუნია. სორელი ყურადღებას მხოლოდ თავის რჩეულებს აქცევდა, დანარჩენები ბედის ანაბარა იყვნენ. კლუბებში მიზერულ თანხას უხდიდნენ, ზოგი მშენებლობაზე მუშაობდა, ზოგიც კლუბების პრეზიდენტების კაფელის და ათასი ასეთი რაღაცეების საწყობებში. ასეთი პირობებში რა მორაგბე გაიზრდება. მორაგბის საკომპენსაციო თანხა კი ჯდებოდა და ჯდებოდა კავშირის ანგარიშზე, ბიჭებზე კი არავინ ფიქრობდა.

მე ტრავმა მივიღე, ერთი წელი გამიცდა და ამ ხნის მანძილზე არავის უკითხავს, რა გიჭირს, რაში დაგეხმაროთო. რაც გადავიტანე, არ მინდა ამის მოყოლა. დავიწყე ვარჯიში და რამდენიმე წინადადებაც გამიჩნდა. ეს ქასაშვილმა და სორელმაც გაიგეს და მაშინღა იკადრეს დარეკვა, ჩვენ დაგეხმარებითო. უარით გავისტუმრე, ჩემს თავს თვითონ მოვუვლი-მეთქი. აი, ამის შემდეგ ამომიჩემეს და ყველანაირად ცდილობენ ჩამძირონ, ახლაც კი არ მანებებენ თავს.

**— ახლა რა მოხდა?**

— შეკრებაზე ბიჭების სანახავად რომ მივედი, ერთ-ერთმა მითხრა, ფრთხილად იყავი, სორელი რაღაცას გიჩალიჩებსო. გამიკვირდა, ახლა რაღა უნდა ჩემგან, თავი დამანებოს-მეთქი. გაირკვა, რომ ნაკრების სამსოფლიოთასო სიაში ვარ. არადა, მანამდე თვითონ სორელმა არ გამაგდო გუნდიდან? ერთი სიტყვით, დავურეკე სორელს და ვკითხე, რა ხდება-მეთქი. მოწვევის ფურცელი არც კლუბის ოფისში მოსულა, არც არავის უთქვამს ჩემთვის ამის შესახებ. იცი, რა მითხრა? ნაკრებში მე არ მომიწვევიხარ, ბიძინა გეგიძემ დაგიძახაო. ერთი გამაგებინეთ, სად ხდება, რომ მწვრთნელი კი არა, ფედერაციის პრეზიდენტი არჩევდეს მოთამაშეს?! არ წავედი მსოფლიოს თასზე. ნათქვამი მქონდა, რომ სანამ სორელი და ქასაშვილი არიან, იმ გუნდში არ ვითამაშებ-მეთქი. მაგათ კი მიჩივლეს, ჩემი დისკვალიფიკაცია მოითხოვეს, ნაკრებში არის გამოძახებული და კლუბში არ ათამაშოთო. სანამ საქართველოს ნაკრები მსოფლიოს თასზე თამაშობდა, კლუბში სამი მატჩი გამოვტოვე, ამით კი ფინანსურად ვიზარალე. ამ სამი მატჩის ვერც პრემიას ავიღებ და ვერც ხელფასს. მაინც არ მეშვებიან, გამოჩნდა, რა ბოღმები და შურიანები არიან.

**— თქვი, რომ კლუბი ჩემით მოვძებნე და ამიტომ ამითვალწუნესო. რა ინტერესი უნდა ჰქონდეთ?**

— იცი, რა ხდება, როცა ქართველი ერთი კლუბიდან მეორეში გადადის, მის ინტერესებს სორელი ან ქასაშვილი იცავენ, საკომპენსაციო თანხა რაგბის კავშირსაც ეკუთვნის. მე კი ჩემით გამოვძებნე გუნდი და ამით გარკვეული ფული დაიკარგა. ალბათ ეს არის მიზეზი. ისე კი სორელი ამბობს, მე კაპიკს არ ვიღებო, კავშირს კი არასდროს ფული არა აქვს. აბა, სად მიდის ეს ფული? გარდა ამისა, იცი, რომ ქართველები სამი წელი დაზღვევის გარეშე ვთამაშობდით?

**— არა...**

— იცი, რა არის ეს? ერთი სერიოზული ტრავმა და მორჩა, შენით უნდა იმკურნალო, რის ხელფასი რა ხელფასი და ღმერთმა იცის, დაგტოვებენ თუ არა კლუბში. ეს ამბავი მსოფლიოს თასის წინ გასკდა, როცა განაცხადთან ერთად ორგანიზატორებმა დაზღვევის პოლისები მოითხოვეს. თუმც ეს ამბავი მალევე ჩაცხრა, რაკი საფრანგეთის ფედერაციამ დააზღვია ჩვენები. მაგრამ საქმე იმაშია, რომ საქართველოს რაგბის კავშირმა სამი წლის მანძილზე ვერ დაგვაზღვია. არადა, ფრანგებს რომ არ ეყოჩაღათ, სკანდალი მერე გენახა.

**— გამოსავალს რაში ხედავ?**

— ახლა მე და ნაკრების რამდენიმე მორაგბემ გადავწყვიტეთ, მოთამაშეთა პროფკავშირის მაგვარი ჩამოვაყალიბოთ. ამით ჩვენვე დავიცავთ ჩვენს ინტერესებს. გარდა ამისა, მარტო ამ მსოფლიოს თასით ხომ არ მორჩება ქართული რაგბი. ჰოდა, ჩვენც შევეცდებით, რაღაც ცვლილებები მოვახდინოთ და საქართველოს ნაკრები ოთხი წლის შემდეგაც გავიდეს მსოფლიოს თასზე, ოღონდ აღარ შერცხვეს.

**— ცვლილებებში რას გულისხმობ?**

— ჩვენ მალე ჩამოვყალიბდებით და კავშირის ოფისში სათქმელსაც ვიტყვით. პრესა და ტელევიზია ამის შესახებ ინფორმირებული იქნება. დროა, სათქმელი ითქვას.

**ბაჩო სვანიძე**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

— 12 ნოემბერი —

**ორლანდო 97:107 მემფისი**

ორლანდო: ლუ (8), მაკგრეიდი (36), ჰოვარდი (14), გუდენი (14 ქულა, 11 მოხსნა), ჰანტერი (6); ბოგანსი (7), ფაჩულია (9 წუთი, 4 ქულა, 3 მოხსნა), დეკლერკი (4), ჰარვი (2), უილიამსი (2)

მემფისი: უილიამსი (11), მილერი (8), პოუზი (24), გასოლი (28), ცაკალიდისი (10); ბეტიე (10), რაიტი (6), აუთლოო (5), პერსონი (3), უოტსონი (2)

**ნიუ ჯერსი 71:85 სან ანტონიო**

ნიუ ჯერსი: კიდი (14 ქულა, 13 პასი, 12 მოხსნა), მარტინი (14)

სან ანტონიო: დანკანი (31 ქულა, 12 მოხსნა), პარკერი (17)

**მილუოკი 99:104 სიეტლი**

მილუოკი: კუკოჩი (20), რედი (20)

სიეტლი: ლუისი (31), რადმანოვიჩი (22), მიურეი (20)

**ბოსტონი 82:89 ჩიკაგო**

ბოსტონი: ჯეიმსი (18), პირსი (14)

ჩიკაგო: როუზი (20), კარი (16 ქულა, 14 მოხსნა)

**მაიამი 88:83 კლივლენდი**

მაიამი: ჯონსი (25), ოდომი (14 ქულა, 10 პასი)

კლივლენდი: ილგაუსკასი (20), ჯეიმსი (18)

**გოლდენ სტეიტი 87:85 დეტროიტი**

ძირითადი დრო 78:78

გოლდენ სტეიტი: ჩინი (24)

დეტროიტი: ბილაფსი (19 ქულა, 12 პასი, 7 მოხსნა), ჰამილტონი (17)

**ლეიკერსი 94:79 ტორონტო**

ლეიკერსი: ონილი (23 ქულა, 14 მოხსნა), ბრაიანტი (19), მელოუნი (17), პეიტონი (16)

ტორონტო: კარტერი (23), პიტერსონი (16)

**ნიუ ორლეანი 96:89 იუტა**

ნიუ ორლეანი: დევისი (23), ვესლი (17)

იუტა: ჰარპრინგი (20), კირილენკო (15)

**ფინიქსი 94:99 ატლანტა**

ფინიქსი: მარიონი (20), მარბერი (22)

ატლანტა: გლოვერი (23), ჯექსონი (18), ტერი (17)



ლებრონ ჯეიმსი ხელდახელ კაცდება

## ფაჩულიას ამერიკაშიც ევროპელები აპიწროებენ

**ბევრი** იწვალა თუ ცოტა, „ორლანდო მეჯიქმა“ მორიგი მატჩი მორიგი მარცხით დაასრულა და წამგებიანი სერია შვიდამდე გაზარდა. არადა, „ჯადოები“ ახლა შედარებით სუსტ „მემფისს“ ხვდებოდნენ და თავიანთი ჯადო ლიდერი ტრეისი მაკგრეიდიც, როგორც იქნა, აუთამაშდათ.

მაკგრეიდიმ „მემფისს“ 36 ქულა აჯახა, მაგრამ მთლად სანოკაუტედ ვერა. „დათვების“ ახალწვეულმა ჯეიმს პოუზიმ ბოლო მეოთხედში გამოსდო კლანჭი სუპერტიმეკს და გადამწყვეტ 12-წუთეულში ორადორ ქულას დააჯერა. „ორლანდოს“ კი სხვა ვერავინ გამოადგა გაჭირვებაში და „მეჯიქმაც“ შინ კარგ ხასიათზე გაუშვა „დათვები“.

ვერც ზაზა ფაჩულიამ გამოიჩინა თავი. „ორლანდოს“ ქართველი ახალბედა დიდი მონდომებით ჩაერთო თამაშში, მაგრამ გადააჭარბა და „მემფისის“ ევროპელი მაღლების პაუ გასოლისა და იაკ ცაკალიდისის მეურვეობაში უსწრაფესად იწყო პერსონალურების აკრეფა — მოედანზე შესვლიდან 9 წუთში მას 4 ქულასთან და 3 მოხსნასთან ერთად მსაჯისგან ხუთი შენიშვნაც მოუგროვდა და „მეჯიქის“ მწვრთნელი დოკ რივერსი იძულებული გახდა, ქართველი უკან გამოეხმო.

ამასობაში კი სეზონის პირველი გამარჯვება ჩაიწერა მეორე ფლორიდულმა კლუბმა „მაიამი ჰითმა“. სანამ ჯერაც ჩამოუყალიბებელ „კლივლენდს“ გადაეყრებოდა, „მაიამის“ შვიდი წაგების აკრეფა მოესწრო და პატ რაილის ყოფილი გუნდი გაალმასებით ცდილობდა ლებრონ ჯეიმსისა და ასევე დამშეული კომპანიისთვის გამარჯვება გამოეგლიჯა. ლებრონ-საოცრებამ ჩვეულებისამებრ სოლიდურად იბურთავა, თუმც ისე სრულყოფილად ვერა, რომ „მაიამისთვის“ ზეიმი ჩაეშალა.

„კარგად მესმის მაიამელების, მათ ყველაფერი გააკეთეს, პირველ რიგში ფსიქოლოგიურად განეწყვნენ მოსაგებად. ორიოდ დღის წინ ჩვენც მათ დღეში ვიყავით, როცა ხუთიდან ხუთი წაგება გვქონდა. ეს შეგრძნება მშიერი კაცის შეგრძნებაა, რომელიც ყველა შემხვედრში საჭმელს ხედავს“ — ამბობს ლებრონ ჯეიმსი. ტყუილად როდი ააგორეს მარიფათიანმა პრომოუტერებმა მის გარშემო ამხელა ისტერია. ამ 18 წლის ბიჭს თამაშთან ერთად დალაგებული ლაპარაკიც ეხერხება.

„მაიამი ჰითი“ აქამდე უკანასკნელი გაუხარელი გუნდი იყო მთელს ასოციაციაში და პირველი გამარჯვების შემდეგ — რომელიც ცხოვრებაში პირველი იყო პატ რაილის ხელდასმულ სტენ ვან განდისთვისაც — გეოგრაფიულ მეზობელს „ორლანდოს“ გაუტოლდა ატლანტიკის ცხრილის ფსკერზე. ფლორიდელი გუნდები კვლავ რჩებიან სადღეისო შედეგებით უარესებად 29-გუნდა ნბა-ში.

11-მა ნოემბერმა გამარჯვებები დააბერტყა სხვა არიფ გუნდებსაც — „ატლანტას“, „გოლდენ სტეიტსა“ და „ჩიკაგოს“. თუმცა არა, „ჩიკაგო“ უკვე აღარ ჩაითვლება თავში ხელის წამოსარტყმელ ღლაპად, რაკი ახალ თაობას შეხიდებული უფროსების მარიფათით და თუნდ ავტორიტეტით „ხარები“ იქით ჩაგრავენ სხვებს. „მათ“ ბოსტონში ყინჩი „კელტები“ წამოაგეს რქებზე. ბებერი „ხარების“ წილი უღელი გასწიეს ძირძველმა ჩიკაგოელმა სკოტი პიპენმა (12 ქულა) და კენდალ გილმა (ასევე 12 ქულა).

შევნიშნოთ, რომ „ჩიკაგომ“ უკვე მესამე გასვლა მოიგო ოთხი ცდიდან და უკვე შეასრულა წინა სეზონის აქტივი. 2002-03 წლების სეზონში „ბულზს“ 41 გასვლიდან 3 მოეგო და 38 გამარჯვება მასპინძლისთვის დაეთმო.



ტრეისი მაკგრეიდი თამაშის იმტაზე მოვიდა, მაგრამ სულ ტყუილად

ბობოლებზეც ვთქვათ: ჩემპიონმა „სან ანტონიომ“ არ გაფლანგა ახლადშემომატებული ძველი ლიდერების ტიმ დანკანისა და ტონი პარკერის ძალა და მოხერხება და ამ ივნისში ნბა-ს ფინალში დაცემული „ნიუ ჯერსი“ ისევ დასცა. ნიუჯერსელები აშკარად კრძალვითა და მუხლების კანკალით გავიდნენ მოედანზე. ჯეისონ კიდმა სამმაგი დუბლი კი მიითვალა, მაგრამ ისიც ერთობ დაკომპლექსებული ეთამაშებოდა ჩემპიონს. „სან ანტონიოს“ კი ამ დროს წამითაც არ დაუეჭვებია პუბლიკა. ტიმ დანკანმა 31 ქულა მოიხვეჭა და მწვრთნელ გრეგ პოპოვიჩს, რომელიც განთქმულია თავისი დიპლომატიით და ზომიერებით, თავისდაუნებურად ქებათაქება ალავლენინა. „თამაში მისთვის უიოლესი რამაა — ამბობს პოპოვიჩი — მას სიამოვნებს თამაში, კალათბურთი. ყოველთვის აზრზეა, რა ხდება მის გარშემო. ის უდიდესი მოთამაშეა. აღარც ვიცი, კიდევ რა გითხრათ მასზე...“

**კოტე ყორშია**

# საქართველოს ჩემპიონატი

13 ნოემბერი. ვერის ბაღი

**ქუთაისი 71:120 სტუ**

13:36, 19:22, 19:29, 20:33

ქუთაისი: ბადრიძე (9), პირტახია (16), ცერცვაძე (10), შავლაყაძე (8), კორძაძე (12); აკოლაშვილი (3), შანიძე (11), კოლუაშვილი, ნიჟარაძე, ფურცვანიძე (2)

სტუ: ნიკოლაძე (13), გაგნიძე (12), მარკოიშვილი (29), ბაბიაშვილი (10), ახალკაცი (3); ქისტაური, ხეცურიანი (23), მიქაძე (2), ოგანესიანი (10), შანიძე (16), ჯანეზაშვილი (2)

მსაჯები: ხათუნა გაბედავა, ზურაბ ანდრიაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

**სსუ 41:91 ბასკო**

10:24, 12:34, 7:13, 12:20

სსუ: პატარაია (3), კანკია (4), ზანგურაშვილი (3), ერქვანია (14), აბულაძე (11); ფარღალავა, ხოშტარია, კანკია (4), ლუკავა (2), მიქაბერიძე

ბასკო: ი. ბერიშვილი (11), ბ. ბერიშვილი (12), ჩხატარაშვილი (1), ტუჯანი (7), ბერძენიშვილი (4); დ. ბერიშვილი (12), კვიმსაძე (9), კეშელავა (5), იმნაძე (28), როდუმტა (2)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

## ანტირეკორდების აკიდო
### კანდელაკს 10 წამი დააკლდა

„ბასკომ“ „ქუთაისი“ პირველ წრეში 105:42 რომ დაამარცხა, ზღვისპირელთა მწვრთნელმა ნუგზარ კანდელაკმა თქვა: მეტოქის მიერ მოგროვილი ქულების ანტირეკორდის დამხობა მსურდა, მაგრამ ქუთაისელებმა მაინც მოახერხეს 37 ქულაზე მეტის ჩაგდებაო (ეს სამარცხვინო ანტირეკორდი კი აწ უკვე დაშლილ „შევარდენს“ ეკუთვნის).

გუშინ კანდელაკი კიდევ უფრო ახლოს იყო საწადელთან, ანტირეკორდის დამხობა თუ არა, გამეორება მაინც შეეძლო, მაგრამ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა მის „ბასკოს“ ბოლო ათ წამში ორი ორქულიანი ჩაუგდო და გადარჩა.

მატჩის შემდეგ სოხუმელთა ქომაგები ისე ხარობდნენ, იფიქრებდით, ეგაა და ჩემპიონები გახდნენო, მაგრამ ყიჟინის მიზეზი მხოლოდამხოლოდ ანტირეკორდის აცილება იყო.

ჩემპიონატის ლიდერ „ბასკოსა“ და აუტსაიდერ სსუ-ს მატჩს სხვა რა ინტრიგა უნდა ჰქონოდა. ამ თამაშის თითო-ოროლა დამსწრეც ანტირეკორდზე ვიყავით ჩასაფრებულები. სსუ გადაურჩა ისტორიულ ანტირეკორდს, თუმც სეზონური კი ვერ აიცილა — 41 ქულაზე ნაკლები ამ სეზონში ჯერ არც ერთ გუნდს ჩაუგდია. აგრეთვე აღსანიშნია კიდევ ერთი ანტიმიღწევის გამეორება — სსუ-მ ერთ მეოთხედში, კერძოდ კი მესამეში 7 ქულა მოაგროვა და გაუტოლდა „ქუთაისს“, რომელმაც იმავ „ბასკოსთან“ საპირველწრეო შეხვედრის ერთ მეოთხედში 7 ქულის მეტი ვერ შეაგროვა.

ამ „ანტირეკორდულ“ მატჩამდე ამავე ყაიდის სტუ — „ქუთაისი“ გაიმართა, მაგრამ იმერლებმა დიდი ანგარიშით წაგების თავისივე საამსეზონო ანტირეკორდი „ვერ“ გაიმეორეს. 3 ნოემბერს ქუთათურები „დინამოსთან“ 52 ქულით დამარცხდნენ, გუშინ კი სტუ-ს „მხოლოდ“ 49 ქულით ჩამორჩნენ.

**ირაკლი პერტაია**



სტუელი შიო ხეცურიანი და ქუთაისელი გოდერძი კორძაძე ბურთისთვის ცილობენ

# წელი როდიკმა დაამთავრა აგასიმ კი ბუში ასიამოვნა

**მასტერსთასი**
**ჰიუსტონი. მაგარსაფარი**
**საპრიზო 3,7 მილიონი $**



ხუან კარლოს ფერერო ვერც აგასის მოერია და როდიკსაც ჩამორჩა

**სანამ** ჰიუსტონში იმ დღეს გამართულ მატჩებზე ვისაუბრებდეთ, ეგებ ერთი-ორი სიტყვა ისევ ენდი როდიკზე გვეთქვა. ვგონებ, ცხადია, თუ რატომ. ანდრე აგასის მიერ ხუან კარლოს ფერეროს ძლევის შედეგად 21 წლის ამერიკელმა მოყმემ უკვე დასტურ გაინაღდა ის ამბავი, რომ სეზონს ამქრის პირველონსად გაასრულებს.

ამგვარად, ის შეიქნება მეექვსე ამერიკელი ვაჟი, ვინაც კი 1973 წლიდან ანუ ქულათა კომპიუტერული დარიცხვის შემოღებიდან დღემდე წლის დასალიერს რეიტინგსიის სათავეში მდგარა. მისი თვისტომებიდან ასეთი რამისთვის ჯიმი კონორსს (1974-78), ჯონ მაკინროის (1981-84), ჯიმ კურიეს (1992), პიტ სამპრასსა (1993-98) და იმავ აგასის (1999) მიუღწევიათ.

სათქმელია ისიც, რომ როდიკზე ახალგაზრდა, სეზონი პირველონსად რომ გაასრულა, მხოლოდ ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი იყო. შარშანწინ, როცა სიდნეის მასტერსთასზე იმარჯვა, კისკასი ოზბიჭი დაბადებიდან მხოლოდ 20 წელსა და 8 თვეს აითვლიდა.

ისე კი შეგახსენებთ, რომ წელი როდიკმა რეიტინგსიის მეათე საფეხურზე დაიწყო, მაგრამ წლის განმავლობაში ექვსი ტიტული, მათ შორის აშშ-ის ღია ჩემპიონატზე პირველი სლემჯილდოც იშოვა და ჯამში იმდენი ქულა დააქუჩა, რომ ორსავე სიაში გათავადდა.

მისი გადასწრების რეალური შანსები მხოლოდ ხუან კარლოს ფერეროს ჰქონდა, მაგრამ ჯერ დავიდ ნალბანდიანთან, ხოლო მერე ანდრე აგასისთან წაფორხილების გამო მან ვეღარც ნახევარფინალში გასვლა შეძლო და შესაბამისად ვეღარც როდიკის გადასწრებას მოახერხებს.

**ლურჯი ჯგუფი**

**ანდრე აგასი (5, აშშ) — ხუან კარლოს ფერერო (2, ესპანეთი) 2:6, 6:3, 6:4**

შებერებული არმენოამერიკელი ფაკირის სანახავად ჰიუსტონურ საჩოგნეთს იმ დღეს ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი, ჩოგბურთის დიდი ტრფიალი მამა ბუშიც კი ეწვია. აგასიმაც ნამეტურ მოინდომა და, იმის მიუხედავად, რომ თავიდან მაგრად გაუჭირდა, შეხვედრა მაინც თავის სასარგებლოდ მოამთავრა.

არადა, ფერერო მისთვის ერთობ უხერხული მეტოქეა და მათი აქამომდელი ოთხი მატჩიდან სამში სწორედ მას გაელალა. უკანასკნელად მათ აშშ-ის ღია პირველობის ნახევარფინალში იდავეს და მაშინ კოლობიჭმა უმნიშვნელოვანესი ოთხსეტიანი განდაგანა მოიგო.

იმ დღესაც მეორე სეტის მერვე გეიმამდე საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ რვაგზის სლემტიტულოსან ვეტერანს კვლავაც უდიერად მოეპყრობოდნენ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ყველაფერი თავდაყირა დადგა.

ანგარიში 4:3 იყო აგასის სასარგებლოდ და ფერერო თავის მოწოდებაზე 40:0 იგებდა. ჰოდა, ყველას რომ ეგონა, ამ გეიმში აღარაფერი მოხდებოდა, ჯადო ანდრე უეცრად გაშმაგდა, რამდენიმე მისეული აბლაბუდა მოქსოვა და მცირე ხნით სიფხიზლემოდუნებულ მეტოქეს გეიმი ციმციმ ააცალა.

ამან მატჩში გარდატეხა შეიტანა და, რაკი ფერერო მის საზეო ფორმაში ისედაც ვერ არის, აგასის საქმის გამარჯვებამდე მიყვანა აღარ გასჭირვებია.

**როჯერ ფედერერი (3, შვეიცარია) — დავიდ ნალბანდიანი (8, არგენტინა) 6:3, 6:0**

როჯერ ფედერერს დავიდ ნალბანდიასთვის აქამდე ერთადერთხელ მოეგო, 1998 წელს ფლორიდაში გამართულ ერთ-ერთ საიუნიორო ტურნირზედ, რამდენიმე თვეში მას შემდეგ, რაც რომ მასთანვე აშშ-ის საიუნიორო ღია პირველობის ფინალში დათმო.

მას შემდეგ ფედერერისა და ნალბანდიანის პაექრობა უკვე საეტიპო დონეზე გაგრძელდა, ბიჭებმა ერთმანეთში ხუთჯერ იკეჭნავეს, აქედან სამჯერ წლეულს და — თქვენ წარმოიდგინეთ — ხუთჯერვე არმენოგაუჩომ ივარგა.

ასე რომ, ეს გამარჯვება 22 წლის ალპელისთვის თავის მეორე მასტერსნახევარფინალში გასვლასთან ერთად ნავსის გატეხასაც ნიშნავს.

„ამის მერე ცხოვრება უფრო იოლი გახდება — სიხარულს არ მალავდა როჯერი მატჩის შემდეგ — მართალია, დღეს საუკეთესო ჩოგბურთი სულაც არ ვითამაშია, მაგრამ ჩემს მოგებას ეს სულაც არ აკნინებს."

ეს ფედერერის 92-ე საამსეზონო მატჩი და 75-ე გამარჯვება იყო. მოგაგონებთ, რომ ის წლეულს კარიერის საუკეთესო სეზონს ატარებს, უიმბლდონზე მოხვეჭილი პირველი სლემჯილდოს გარდა კიდევ ხუთი ტიტულიც მოიმკა და ახლაც ისეთ ზორბა ფორმაში ჩანს, ვინძლო, ენდი როდიკს საამმასტერსთასოდაც კაცურად გაედავოს.

სხვაფრივ, ლურჯ ჯგუფში ახლა ასეთი ვითარებაა: ფედერერმა ორი მოგებით უკვე გაინაღდა ნახევარფინალში ბუღრაობა, მეორე ნახევარფინალისტის ვინაობა კი თითო-თითო გამარჯვების მქონე ანდრე აგასისა და დავიდ ნალბანდიანის შეხლაში გაირკვევა.

**ლევან ძელაურაძე**



# მანქანას არ ეშინია
## გარი მეოთხედ შევიდა მდინარეში

**დედამიწის** ზურგზე ყველა ძლიერი მოჭადრაკის დამარცხების შემდეგ რუსი დიდოსტატი გარი კასპაროვი მოაზროვნე მანქანებთან ბრძოლაზე გადავიდა. კომპიუტერებთან სამ შეხვედრაში კასპაროვს ჯერჯერობით საყაიმო შედეგი აქვს — მოგება, წაგება და ყაიმი.

გარის უახლესი, მეოთხე კიბერმეტოქე — „X3D Fritz" წინა პროგრამებთან შედარებით საკმაოდ სწრაფად და გონივრულად აზროვნებს. მიუხედავად ამისა, ტოტალიზატორებს ადამიანის უფრო ეიმედებათ და მის გამარჯვებაზე სამ „კუშს" იძლევიან, ყაიმზე ორს, ხოლო წაგებაზე — ოთხს.

შეხვედრა ნიუ იორკში მიმდინარეობს, ხოლო სპონსორობას კისრულობს კომპანია „X3D", რომელმაც ამ თამაშის ორგანიზებისთვის დაახლოებით მილიონი დოლარი გაიღო.

კასპაროვი სულ ოთხ პარტიას ატარებს და საკმაოდ ორიგინალურად, მატერიალური დაფისა და ფიგურების გარეშე. ადამიანს სამგანზომილებიანი, ეკრანიანი სათვალე უკეთია, ხელში კი ჯოისტიკი უჭირავს და სვლებს მისი მეშვეობით ახორციელებს.

„მანქანას მეტი უპირატესობა ექნება, რადგან არ იცის, იგებს თუ აგებს, ადამიანზე კი მრავალი ფაქტორი მოქმედებს, მაგალითად — საკუთარი ემოციები, ამინდი და სხვა. „ტექნიკა თუ ასე განვითარდა, ნახევარი წლის შემდეგ ადამიანს აღარ შეეძლება მასთან გამკლავება" — განაცხადა მატჩამდე რუსმა დიდოსტატმა.

„X3D Fritz"-თან პირველი პარტია კასპაროვმა მხედარი f3-ით დაიწყო და წინა ხაზზე მსუბუქი ფიგურების, პაიკებისა და მხედრების მობილიზებას შეუდგა. კომპიუტერმაც თამაშში ჩართვა მსუბუქი ფიგურებით არჩია და იერიშებიც დაიწყო. მე-12 სვლაზე ჭკვიანმა მანქანამ გარი შეცდომაზე დაიჭირა და პაიკი ააცალა. სამიოდე სვლაში კასპაროვმა წონასწორობა აღადგინა და მეტოქეს მძიმე დარტყმაც მიაყენა — ოფიცერი ეტლში გაუცვალა. ხარისხით დაწინაურებულმა ადამიანმა ფიგურების გაცვლა დაიწყო, გონიერი მანქანა კი მიხვდა, რომ თამაშის მომგები აღარ იყო და ყაიმითვის იწყო ზრუნვა. 33-ე სვლაზე კომპიუტერის ლაზიერი კასპაროვის ტერიტორიაზე შეიჭრა და მეფეს რამდენჯერმე დაემუქრა. ოთხიოდე სვლაში გარი იძულებული გახდა, ყაიმზე დათანხმებულიყო.

**ლუკა ბეგიჩაძე**



გარი კასპაროვმა X3D Fritz-თან თამაში ყაიმით დაიწყო



# NHL რეგულარული ჩემპიონატი

— 12 ნოემბერი —

**ბუფალო 2:2 ნიუ ჯერსი**
*0:0 1:1 1:1 0:0*

**1:0 ტეილორი (27), 1:1 ფრიზენი (38), 1:2 ლანგენბრუნერი (52), 2:2 აფინოგენოვი (54)**

ერთი ამბავი იყო როჩესტერში. ბუფალოს მეზობელ ამ მიკრო, პროვინციულ ქალაქს დიდი ჰოკეი ესტუმრა. იქ ასეთი მნიშვნელოვანი სპორტული მოვლენა 1960 წლის შემდეგ არ ყოფილა. მაშინ როჩესტერს ნბა-ს გუნდი „როიალზი" (დღეს „საკრამენტო კინგზი") ჰყავდა. როჩესტერში ყველაზე შინაურულად სტუმართა ფორვარდი ბრაიან ჯიონტა გრძნობდა თავს. ჩია ჰოკეისტის ასპარეზობას მის მშობლიურ ქალაქში დაახლოებით 200 ნათესავ-მეგობარი დაესწრო.

**რეინჯერსი 6:2 პიტსბურგი**
*2:1 1:0 3:1*

**1:0 რუჩინსკი (1), 1:1 ფონტე (7), 2:1 კარტერი (10), 3:1 მესიე (32), 4:1 ნუდელდი (42), 4:2 მოროზოვი (42), 5:2 პოტი (45), 6:2 მალახოვი (59)**

ვინ იფიქრებდა, რომ ერიკ ლინდროსის დაკარგვა „რეინჯერსზე" დადებითად იმოქმედებდა. თამაშის დაწყებისთანავე ნიუიორკელთა ფორვარდს პიტსბურგელმა იოზეფ მელიხარმა თვალი დაუზიანა. გაბრაზებულმა მასპინძლებმაც ამის შემდეგ მეტოქის 18 წლის მეკარე ანდრე ფლერი პირდაპირ დასეტყვეს დარტყმებით. საბოლოოდ ნორჩმა გოლკიპერმა 42 დარტყმიდან 6 ვერ მოიგერია.

**ვაშინგტონი 7:1 კაროლინა**
*1:0 2:0 4:1*

**1:0 ლანგი (2), 2:0 ზუბრუსი (34), 3:0 უილსი (38), 4:0 ზუბრუსი (44), 5:0 სიომინი (45), 5:1 ბაიდა (45), 6:1 ლანგი (45), 7:1 ლანგი (55)**

**ჩიკაგო 2:6 კალგარი**
*1:2 1:3 0:1*

**0:1 ლომბარდი (9), 0:2 კლარკი (13), 1:2 მაკლინი (19), 1:3 მაკამონდი (25), 1:4 ლომბარდი (27), 1:5 მაკამონდი (29), 2:5 მაკარტი (31), 2:6 ლომბარდი (53)**

**დალასი 2:6 დეტროიტი**
*0:2 2:1 0:3*

**0:1 აიზერმანი (2), 0:2 აიზერმანი (11), 1:2 გერინი (21), 1:3 ტომასი (29), 2:3 მოროუ (32), 2:4 შნაიდერი (41), 2:5 დაციუკი (46), 2:6 დაციუკი (60)**

**ანაჰაიმი 5:1 ტორონტო**
*1:1 3:0 1:0*

**1:0 მაკდონალდი (12), 1:1 რენბერგი (15), 2:1 მაკდონალდი (25), 3:1 ფიოდოროვი (29), 4:1 ფიოდოროვი (39), 5:1 სიკორა (51)**

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | | |
| ფილადელფია | 14 | 8 | 3 | 1 | 2 | 44:28 | 20 |
| ნიუ ჯერსი | 14 | 7 | 4 | 0 | 3 | 32:27 | 18 |
| აილენდერსი | 14 | 7 | 2 | 0 | 5 | 45:35 | 16 |
| რეინჯერსი | 15 | 6 | 2 | 2 | 5 | 40:37 | 16 |
| პიტსბურგი | 14 | 3 | 3 | 0 | 8 | 27:54 | 9 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ბოსტონი | 15 | 8 | 3 | 2 | 2 | 41:33 | 21 |
| ტორონტო | 16 | 7 | 3 | 1 | 5 | 37:44 | 18 |
| ბუფალო | 16 | 7 | 2 | 0 | 7 | 36:45 | 16 |
| მონრეალი | 16 | 7 | 1 | 0 | 8 | 31:34 | 15 |
| ოტავა | 13 | 6 | 2 | 1 | 4 | 42:30 | 15 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ტამპა | 13 | 8 | 2 | 1 | 2 | 37:24 | 19 |
| ატლანტა | 16 | 7 | 3 | 1 | 5 | 47:41 | 18 |
| ფლორიდა | 16 | 6 | 2 | 0 | 8 | 35:39 | 14 |
| კაროლინა | 15 | 4 | 5 | 0 | 6 | 32:37 | 13 |
| ვაშინგტონი | 16 | 4 | 1 | 0 | 11 | 40:48 | 9 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | | |
| სენტ ლუისი | 13 | 9 | 0 | 1 | 3 | 34:27 | 19 |
| დეტროიტი | 16 | 8 | 1 | 0 | 7 | 50:42 | 17 |
| ჩიკაგო | 17 | 6 | 3 | 1 | 7 | 31:45 | 16 |
| კოლუმბუსი | 14 | 5 | 1 | 1 | 7 | 31:35 | 12 |
| ნეშვილი | 14 | 5 | 1 | 0 | 8 | 34:40 | 11 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| ვანკუვერი | 16 | 10 | 2 | 0 | 4 | 53:31 | 22 |
| კოლორადო | 15 | 9 | 1 | 0 | 5 | 51:40 | 19 |
| მინესოტა | 16 | 7 | 2 | 0 | 7 | 39:38 | 16 |
| ედმონტონი | 15 | 6 | 2 | 0 | 7 | 46:50 | 14 |
| კალგარი | 14 | 6 | 0 | 1 | 7 | 30:34 | 13 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| ლოს ანჯელესი | 14 | 8 | 0 | 1 | 5 | 40:33 | 17 |
| ანაჰაიმი | 17 | 6 | 1 | 3 | 7 | 34:43 | 16 |
| დალასი | 16 | 7 | 1 | 0 | 8 | 37:44 | 15 |
| სან ხოსე | 16 | 3 | 6 | 1 | 6 | 38:46 | 13 |
| ფინიქსი | 14 | 4 | 3 | 1 | 6 | 34:44 | 12 |



REUTERS ოსაკადან

# მონას ჩადრი

ოსაკაში მიმდინარე ქალთა საფრენბურთო მსოფლიო თასზე თურქმა ქალებმა ეგვიპტელებს 3:0 აჯობეს. ფოტოზე თურქი ნესლიჰან დემირი მონა ბადავისა (15) და სამეჰშერიჰანს უბრაგუნებს. აქ ყურადღებამისაქცევი მონას თავშალია. ესე იგი, ტრუსებით რომ თამაშობს, ეგ არაფერი, მთავარია, თავი დაფარული ჰქონდეს.



REUTERS ნიუ იორკიდან

# კირკი კლიჩკომდე

მძიმეწონოსანი კანადელი მოკრივე კირკ ჯონსონი ვიტალი კლიჩკოსთან საბრძოლველად ემზადება. ესენი ერთმანეთს 6 დეკემბერს ნიუიორკულ მედისონ სკუერ გარდენში ეკრივებიან და მათ შორის გამარჯვებული WBC-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ლენოქს ლუისს შეეხლება.

# ბიჭები ბიჩზე



REUTERS სიდნეიდან

ავსტრალიაში მიმდინარე მსოფლიოს სარაგბო თასის ფინალში მოსახვედრად მასპინძლები ახალზელანდიელებს უნდა ერკინონ და მთელი კონტინენტიც წინასაამმატჩო ციებცხელებაშია. თავიანთი ბიჭების დაგეშვას ზოგი ასე ცდილობს, ზოგიც ისე. სიდნეელმა ქომაგებმა ყველაფერს მოთამაშეთა ჰაერით დატენილი ვეება ფიგურების სიდნეურ ბონდი ბიჩზე განლაგება არჩიეს. წაგების შემთხვევაში ამ ფიგურებს ალბათ ხმაურიანად დახეთქავენ.



REUTERS პეკინიდან

# მარადონა ჩინეთში

პეკინს სწვევია ერთობ მოსუქებული მარადონა. ამბობენ, იქ რაღაც ბიზნესამბები უნდა მოაყომაროსო. ფოტო კი აეროპორტშია გადაღებული — მახზე დიადი ფეხბურთელი თითქოს ლოცვისმაგვარ რიტუალს ასრულებს.

# ჭერზე დაკიდება

„სან ანტონიო სფ:ურზის" გადამდგარი ადმირლის, დევიდ რობინსონის მიერ სვიანად ნატარებ 50-ნომრიან მაისურას აწი იქ ვეღარავინ ჩაიცვამს. მაისურის „ჭერზე ჩამოკიდების" ცერემონიალი სან ანტონიოში იმ დღეს შედგა და მაგანი მოუხსენიებელი მხატვრის მიერ საგანგებოდ ამ ამბისთვის შექმნილი ეს ფერწერული ტილოც მილეთს სწორედ მაშინ გამოუფინეს.



REUTERS სან ანტონიოდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა ღოღრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge